გამოიწერეთ, იკითხეთ

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. № 123 (2237) ოთხშაბათი, 26 ივნისი, 1996 წელი. ფასი 30, თბილისის გარეთ 35 თეთრი.

პირველი სვეტი

„...მწამს აწმყოს და მომავლისა...“

ასეთი რეზო ამაშუკელი არც წარმომედგინა. სცენაზე იდგა მოკრძალებული, აღელვებული პოეტი და დროდადრო ბოდიშს უხდიდა საზოგადოებას შეწუხებისათვის. საღამოზე ქალაქის მრავალ ცნობილ ადამიანს მოეყარა თავი, იყვნენ კოლეგები, მეცნიერები, კულტურის მუშაკები, უბრალოდ, პოეზიის მოყვარულები, მეგობრები...

„დრო თავისთვის მიდის და მიდის“... უთქვამს რეზო ამაშუკელს თავის ერთ-ერთ ლექსში. მართლაც, რა დრო გასულა — იგი 60 წლისაა. მრავალი ჭირვარამგადატანილი, იგი ჩვეულებურად შემართული და მომავლის იმედით აღსავსეა. ალბათ, ბევრს ახსოვს, მათ შორის მეც, თბილისელ ახალგაზრდებში გამორჩეული, მეგობრების ჭირისა და ლხინის გამზიარებელი...

„მე ბოლნისის ლომებს ვლოდი“... ესეც უთქვამს პოეტს. უხმაუროდ, უპრეტენზიოდ მას ბევრი რამ უკეთებია სამშობლოსათვის, მშობლიური ერისათვის, მისი ლექსები აგერ უკვე ოთხ ათეულ წელზე მეტია, ერის სულიერი ცხოვრების, გამარჯვებისა თუ დაცემის, მისი ისტორიის მიუკერძოებელი მატიანეა. პოეტმა ხმა აღიმაღლა მაშინ, როდესაც ერს განსაკუთრებით გაუჭირდა — აკი საღამოზე ღია ტექსტით და ერთხმად ამტკიცებდნენ: მისმა შეძახილმა მომავლის იმედი გააღვივაო...

პოეტს გულთბილად მიესალმა თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი.

სიტყვა პოეტსა და მის შემოქმედებაზე წარმოთქვა კრიტიკოსმა გურამ გვერდწითელმა. მან გააანალიზა როგორც პოეტის შემოქმედება, ასევე მისი ადამიანური თვისებები და დასძინა: რეზო ამაშუკელი ქართველი ხალხის საყვარელი პოეტია, მოქალაქე და პატრიოტი, იგი ჭეშმარიტად ხილდამშვენებული შეხვდა თავისი სიმწიფის ხანას და მზადაა, კვლავაც ემსახუროს მშობლიურ ერს.

რეზო ამაშუკელის მოღვაწეობაზე მოქალაქეთა კავშირში, მის მაღალ პასუხისმგებლობაზე ნაკისრი მოვალეობისადმი, ილაპარაკა თავის მისალმებაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ.

ისევ და ისევ გაისმოდა რეზო ამაშუკელის ლექსები, ძველი თუ ახალი, ისინი სამშობლოს საგალობელი და სადიდებელი იყო.

საღამოს ესწრებოდნენ საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე მეუღლითურთ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

ლამარა გაგუა,
საქინფორმის კორ.

ირაკლი მენაღარიშვილი საბერძნეთში

საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ანდრეას პაპანდრეუს დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად 25 ივნისს ათენს გაემგზავრა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი.

საქინფორმი.

პირველი რეისი

გუშინ, 25 ივნისს ფუნქციონირება დაიწყო განახლებულმა აეროპორტმა, 18 საათსა და 45 წუთზე ავიაკომპანია „ორბიმ“ შეასრულა პირველი რეისი „თბილისი-მოსკოვი“.

აეროპორტი მზად არის, მიიღოს ყველა ტიპის თვითმფრინავი, რომლებიც ჩამოფრინდება თბილისში.

დინარა ტოგონიძე.

ევროკავშირი რჩება საქართველოს მტკიცე პარტნიორად

სურათზე: ევროკავშირის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ფოკიონ ფოტიადისი საქართველოს პრეზიდენტთან ედუარდ შევარდნაძესთან შეხვედრის დროს. **ბესიკ კეზერაშვილის ფოტო. საქინფორმის ფოტოქრონიკა.**

ევროკავშირი არ შეცვლის თავის დამოკიდებულებას საქართველოსადმი და კვლავაც აქტიურ დახმარებას გაუწევს მას. ასეთი მკაფიო და ერთმნიშვნელოვანი პოზიცია ავტორიტეტულ საერთაშორისო ორგანიზაციას ჩამოუყალიბდა საკმაოდ ხანგრძლივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის შედეგად, რომლის დროსაც საქართველო განუხრელად ასრულებს თავის ვალდებულებებს, — ზოგადად ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს ის განწყობილება, რომელიც ევროკავშირის სახელით გადმოსცა საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს ევროკავშირის პირველი გენერალური დეპარტამენტის ამიერკავკასიისა და შუა აზიის ქვეყნებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ფოკიონ ფოტიადისმა.

სტუმარმა განსაკუთრებული კმაყოფილებით აღნიშნა, რომ საქართველო თანაბრად წარმატებით ვითარდება როგორც ეკონომიკის, ისე დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბების თვალსაზრისით, რაც მას, სხვა გარემოებებთან ერთად, ხელსაყრელ მდგომარეობას უქმნის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისა და უცხოელი ფირმებისა თუ ინვესტორების ყურადღების მოზიდვისათვის.

ევროკავშირი, როგორც ბატონმა ფოტიადისმა განაცხადა, მოწონებით შეხვდა საქართველოს, აზერბაიჯანის, თურქმენეთისა და უზბეკეთის მიერ ხელმოწერილ ხელშეკრულებას სატრანზიტო მიმოსვლის შესახებ. ის ფაქტი, რომ უკვე დაწყებულია ამ ხელშეკრულების რეალიზაცია, მოძრავი ტვირთი, ნავთობსადენის მშენებლობისათვის საჭირო ტექნიკა და მოწყობილობები, უკვე ნიშნავს იმას, რომ შესაძლებელია თანამშრომლობისათვის მეტი მასშტაბის მინიჭება. კონკრეტულად, ევროკავშირი საქართველოს სთავაზობს „ტრასეკას“ მოქმედი 15 პროექტის გაგრძელებას და გაფართოებას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, ახალი პროექტების დამუშავებას, რომლებიც საფუძველს მოამზადებს საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების მხრიდან კრედიტების გამოყოფისათვის, მეორე მხრივ, ითვალისწინებს საქართველოს ნავსადგურების უფრო ეფექტიანად გამოყენებას. გარდა ამისა, ევროკავშირი მაქსიმალურად დაუჭერს მხარს საქართველოს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანებას.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ მუშავდება ღონისძიებები ევროკავშირთან საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმების შესრულების დაჩქარებისათვის. შეთანხმებით განსაზღვრული სტრატეგიული ჩარჩოები იძლევა დიდ შესაძლებლობებს თანამშრომლობის ყველა ასპექტის რეალიზაციისათვის. მათ შორის, იგულისხმება საქართველოს უზრუნველყოფა სურსათით, ფინანსური და სხვა სახის დახმარება.

შეხვედრაში მონაწილეობდა საქართველოში ევროკომისიის დელეგაციის მეთაური დენის ქორბოი.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

სიდები

იტალია—საქართველო: იწყება თანამშრომლობის ახალი ეტაპი

24 ივნისს საქართველოს პრეზიდენტს ედუარდ შევარდნაძეს რწმუნებათა სიგელი გადასცა იტალიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იმანუელე სკამაკო დელ ბურგომ.

ოფიციალური ცერემონიის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტსა და ახლადდანიშნულ ელჩს შორის გაიმართა საუბარი, რომელზეც მხარეებმა დეტალურად განიხილეს ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობის შესაძლო პერსპექტივები და შეაფასეს დღეისათვის ჩამოყალიბებული ურთიერთობის ასპექტები. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის მხარდაჭერა და პრაქტიკული დახმარება, რომელიც დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახელმწიფოებრივი მშენებლობის გარდამტეხ ეტაპზე საქართველოს აღმოუჩინა მეგობარმა სახელმწიფომ. განსაკუთრებით აღნიშნა მან იტალიის ხელისუფლების თანადგომის მნიშვნელობა საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტისას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში, ევროპულ სტრუქტურებში, აგრეთვე, ევროსაბჭოში საქართველოსთვის მეთვალყურის სტატუსის მინიჭების საკითხის განხილვისას. ბატონმა ედუარდ შევარდნაძემ სტუმარს გადასცა განსაკუთრებული მადლობა იტალიის ხელისუფლების მიმართ იმ უაღრესად საჭირო ჰუმანური დახმარებისათვის, რომელსაც ეკონომიკურ კრიზისში მყოფი სახელმწიფოსათვის უდიდესი პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

შეხვედრაზე ხაზგასმით ითქვა, რომ ორ ქვეყანას შორის ურთიერთობა უკვე ისეთ ფაზაში შევიდა, რომ შესაბამისი ნორმატიული ბაზის გაუფორმებლად იგი დამუხრუჭდება. და ეს მაშინ, როდესაც უდიდესია ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის პოტენციალი. საქართველოს პრეზიდენტმა ელჩს გააცნო ეკონომიკის სფეროში ერთობლივი საქმიანობის პერსპექტიული მიმართულებები და განაცხადა, რომ საქართველო დაინტერესებულია იტალიურ ბიზნესთან უფრო აქტიური საქმიანი კონტაქტით.

— ჩემი უმთავრესი ამოცანა ამ გეგმების განხორციელებისათვის ხელშეწყობაა, — განაცხადა ბატონმა დელ ბურგომ და აღნიშნა, რომ ვიდრე საქართველოში იტალიის დამოუკიდებელი საელჩო გაიხსნება, ქვეყნის ხელისუფლება შეეცდება საქართველოში დროებითი საკონსულოს ამოქმედებას.

— დროა ჩვენმა ურთიერთობამ მეტი მასშტაბი და შინაარსი შეიძინოს, — აღნიშნა მან, — ასევე უნდა გააქტიურდეს პარტნიორული ურთიერთობა შავი და ხმელთაშუა ზღვების ქვეყნებს შორის.

იტალიის ელჩმა საქართველოს პრეზიდენტს გააცნო საერთაშორისო ფონდის „ერთად — მშვიდობისათვის“ გადაწყვეტილება ბატონ ედუარდ შევარდნაძისათვის „მშვიდობისათვის მებრძოლი ადამიანის“ ჯილდოს მინიჭების შესახებ და გადასცა ამ გადაწყვეტილების დამადასტურებელი ცნობა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

საზოგადოების გაჯანსაღების სახელმწიფო პროგრამები

გუშინ საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით გაიმართა ეროვნული უშიშროების საბჭოს სხდომა.

სხდომის პირველი ნაწილი უძღვნეს პრობლემას — ნარკომანიას დაეთმო. საბჭოზე კონკრეტულად იმსჯელეს საქართველოში ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნული პროგრამის პროექტის შესახებ. პროგრამის მთავარი ამოცანაა ნარკომანიის წინააღმდეგ ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, რომლის კომპლექსურ რეალიზაციაშიც მონაწილეობას მიიღებს ხელისუფლების ყველა სტრუქტურა — შინაგან საქმეთა, უშიშროების, ჯანმრთელობის დაცვის, იუსტიციის, თავდაცვის სამინისტროთა ხელმძღვანელები, სხვა სამთავრობო თუ არასახელმწიფო ორგანიზაციები. სამუშაო გეგმა, უწინარესად, ითვალისწინებს შესაბამისი სამართლებრივი ბაზის მოწესრიგებას, სათანადო საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქმიანი თანამშრომლობის გაღრმავებას და სხვა ღონისძიებებს.

სხდომაზე აგრეთვე, განიხილეს არასრულწლოვანთა შორის სამართალდარღვევათა და უზედამხედველობის პროფილაქტიკის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც ერთობლივად შეიმუშავეს შინაგან საქმეთა და განათლების სამინისტროებმა. პროგრამა სპეციფიკური ხასიათისაა და უმთავრესად სოციალურ და საგანმანათლებლო ამოცანებს ითვალისწინებს.

შეიქმნა მთავრობის შესაბამისი კომისიები. პირველი პროექტის განხორციელების კომისიას თანათავმჯდომარეობენ შინაგან საქმეთა მინისტრი კახა თარგამაძე და ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე; მეორე კომისიის ხელმძღვანელობა დაევალა განათლების მინისტრს თამაზ კვაჭანტირაძეს.

სამძიმარი

გულით ვიზიარებთ ბერძენი ხალხის მწუხარებას

საბერძნეთის ყოფილი პრემიერ-მინისტრის ანდრეას პაპანდრეუს გარდაცვალებასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე 25 ივნისს ეწვია საბერძნეთის საელჩოს საქართველოში და სამძიმრის წიგნში ჩაწერა:

„გულწრფელ სამძიმარს ვუცხადებ დიდ ბერძენ ხალხს, რომლის წვლილიც კაცობრიობის წინაშე განუსაზღვრელია. გამოჩენილი პოლიტიკოსისა და სახელმწიფო მოღვაწის ბატონ ანდრეას პაპანდრეუს გარდაცვალებით საბერძნეთმა დაკარგა სახელოვანი შვილი და მამაცი, ბრძენი წინამძღოლი, ხოლო მსოფლიო პოლიტიკას დააკლდა გამოჩენილი, დიდი მასშტაბის მოღვაწე.

მჯერა და მწამს საბერძნეთის კიდევ უფრო დიდი მომავლისა. მეგობარი ქართველი ხალხი გულით იზიარებს ამ დიდ დანაკლისთან დაკავშირებით ბერძენი ხალხის მწუხარებას“.

პრეზიდენტის პრესსამსახური — საქინფორმი.

იუბილე

მადლობა მეცნიერული ღვაწლისათვის

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ა. ნათიშვილის სახელობის ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტის ხელმძღვანელობას, თანამშრომლებს, ასპირანტებს!

ბატონებო!

ნება მიბოძეთ, დაარსების ორმოცდაათი წლის იუბილე მივულოცო ყოფილი საბჭოთა კავშირის მასშტაბით მორფოლოგიის დარგში პირველ სამეცნიერო დაწესებულებას, ერთ-ერთ პირველს არა მარტო დაარსების თარიღით, არამედ თავისი მეცნიერული ღვაწლითა და მეცნიერული პოტენციალით.

ამ ინსტიტუტის დაარსებით ჩვენს მედიკოსებს მიეცათ საშუალება, ექსპერიმენტული მეთოდის ფართო დანერგვით თეორიული დისციპლინა — მორფოლოგია მჭიდროდ დაეკავშირებინათ პრაქტიკულ მედიცინასთან.

დიდია როგორც ინსტიტუტის, ისე მისი დამაარსებლის, აწ განსვენებულის აკადემიკოს ალექსანდრე ნათიშვილის ღვაწლი, როგორც თქვენი დისციპლინის განვითარებაში, ისე სამეცნიერო კადრების აღზრდასა და ჩამოყალიბებაში, რაზეც თქვენი ნაშრომთა კრებულები, მონოგრაფიები, თქვენთან დაცული დისერტაციები და საერთაშორისო მასშტაბით თქვენი ავტორიტეტი და საერთო კავშირები მეტყველებს.

უდავოდ აღსანიშნავია ისიც, რომ ამ რთულსა და ძნელ პერიოდში თქვენ შეძელით გადაგერჩინათ დამოუკიდებელი საქართველოს ინსტიტუტი და ყოველი თქვენგანიც.

დიდი მადლობა ამისათვის, დიდი მადლობა თქვენი მეცნიერული ღვაწლისათვის.

ღრმა პატივისცემით,
ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება

1996 წლის 21 ივნისი ქ. თბილისი

ვ. გობრონიძის მედლით „მხედრული მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

ოზურგეთის რაიონში სტაბილიზაციის მიღწევაში დამნაშავეთა წინააღმდეგ ბრძოლაში გამოჩენილი მამაცობისა და თავდადებისათვის ოზურგეთის შინაგან საქმეთა რაიონული განყოფილების უფროსი, ვიცე-პოლკოვნიკი ვიქტორ გობრონიძე დაჯილდოვდეს მედლით „მხედრული მამაცობისათვის“.

ე. შევარდნაძე.

ჩოგანი

EURO 96
England

მწვრთნელები ინგლისის ჩემპიონატისა და ჩვენი ფეხბურთის შესახებ

ინგლისიდან დაბრუნებულმა საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მთავარმა მწვრთნელებმა ალექსანდრე ჩივაძემ და ვლადიმერ გუცაევმა გუშინ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში პრესკონფერენცია გამართეს.

ალექსანდრე ჩივაძე: ინგლისში ჩვენი მივლინება ფირმა „ტელესპორტმა“ დააფინანსა. მასპინძელთა მონაწილეობით გამართულ მატჩებზე „უემბლიზე“ ბილეთის ფასი 65 გირვანქა სტერლინგი იყო, მანჩესტერში „C“ ჯგუფში კი — 45. ბუნებრივია, დასასწრებად მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ჩვენი მეტოქეების — ინგლისისა და იტალიის ჯგუფები ავირჩიეთ.

პირველ ტურში გამოირჩნენ პორტუგალიის, გერმანიისა და იტალიის ნაკრებები, მეორეში კი მეტოქეთა დონე გათანაბრებული ჩანდა. საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთი უნივერსალიზაციის ტენდენციით ვითარდება და იშვიათია მაღალი ინდივიდუალური ოსტატობა. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენენ პორტუგალიელები, აგრეთვე — კლინსმანი, ზამერი (გერმანია), მაკმანამანი და გასკოინი (ინგლისი). ჩვენი მომავალი მეტოქეებიდან გამოვყოფდი დაცვასა და ნახევარდაცვაში თანაბარი ძალით მოდამაშე საუთგეიტს, უილბლო რედნაპს, რომელიც შოტლანდიელებთან შეცვლაზე გამოვიდა და მალე დაშავდა და მეკარე სიმენს. მისი როლი მასპინძელთა წარმატებაში განსაკუთრებულია. ჩვენი მომავალი მეორე მოწინააღმდეგის — იტალიის გუნდის ფიასკო მოულოდნელობა და უფრო მწვრთნელ საკის „დამსახურება“ იყო. მიმაჩნია, რომ „სკუადრა აძურა“ უნაკლო და საჩემპიონო ნაკრებია. ასეთი ჩავარდნის შემდეგ იტალიელები შემოდგომაზე უფრო მრისხანენი იქნებიან.

ჩემი აზრით, ინგლისში სუსტი მსაჯობაა. ჩაუთვლელ გოლებსა და დაუნიშნავ პენალტებზე რომ არაფერი ვთქვა, მრავალრიცხოვანი გაფრთხილებები, როცა მათი ნაწილის აუცილებლობა საეჭვოა და, პირიქით, აშკარა უხეშობაზე და თავხედობაზე თვალის დახუჭვა გასაოცარია.

ორიოდე სიტყვით საქართველოს ნაკრების პერსპექტივაზეც შევჩერდები. მორიგი ამხანაგური მატჩი ამ ბოლო დროს საკმაოდ მომძლავრებულ ნორვეგიელებთან, რომელიც 1 სექტემბერს სტუმრად გაიმართება, შესარჩევი შეხვედრების წინ გენერალური რეპეტიცია იქნება. ეს სეზონი გადატვირთულია საერთაშორისო საკლუბო ტურნირების სიმრავლით და ამიტომ, შეზღუდულნი ვართ არჩევანში, თანაც არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ნაკრების წამყვან ფეხბურთელთა ნაწილს უცხოურ კლუბებთან კონტრაქტის შემდეგ ახალი გუნდები ჯერ არ შეურჩევია.

ვლადიმერ გუცაევი: გულახდილად რომ გითხრათ, ინგლისში, სადაც 7 თამაშს დავესწარით, ახალი ვარსკვლავი არ შემიმჩნევია.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების მეტოქეები შესარჩევ ჯგუფში ტრადიციული საფეხბურთო ქვეყნებია, დაახლოებით ერთი ტაქტიკური სქემით თამაშობს ყველა. ჩვენი გუნდი ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს უკრაინელებთან — 11 აგვისტოს შინ და 3 სექტემბერს სტუმრად. შეკრებებზე მოვიწვევთ დებიუტანტებსაც, მათ შორის ფოცხვერიას (დონეცკის „შახტიორი“) და მეკარე ჭურაძეს (სოფიის „ლოკომოტივი“). განზრახული გვაქვს კიდევ ერთი საწვრთნელი შეხვედრის მოწყობა რუს თანატოლებთან.

პრესკონფერენციის დამთავრებისთანავე ევროპის ჩემპიონატის მსაჯობის შესახებ აზრის გამოთქმა ვთხოვე ცნობილ ქართველ არბიტრებს — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მსაჯთა კომიტეტის თავმჯდომარეს კარლო ურუშაძესა და ფიფას არბიტრს თამაზ ლაცაბიძეს:

— მსაჯები ფიზიკურად ბრწყინვალედ არიან მომზადებულნი, მაგრამ ხშირად არასწორ გადაწყვეტილებებს იღებენ. თითქოს ებრძვიან უხეშობას, მაგრამ მრავალ შემთხვევაში თვალს ხუჭავენ. პენალტების დანიშვნისას ან არდანიშვნისას და თამაშგარე მდგომარეობის დაფიქსირებისას ვერ იტყვი, რომ ტენდენციურნი არიან და მიკერძოებას იჩენენ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება — შეცდომებს უშვებენ. ბევრ ტურნირს მოვსწრებივართ და ცუდი მსაჯობით გაფუჭებული ამდენი თამაში ძნელი გასახსენებელია. ამავე დროს, შეგვიძლია არაერთი შეხვედრა დავასახელოთ, როცა მსაჯობა მშვენიერი იყო.

გია პლატონიშვილი.

დღეს ევროპის ფეხბურთელთა მეათე ჩემპიონატზე ინგლისში ნახევარფინალური მატჩებია: 20.00. მანჩესტერში — საფრანგეთი — ჩეხეთი; 23.30. ლონდონში — ინგლისი — გერმანია.

მარადიული პრობლემა არატრადიციულ ჭრილში

მორიგე რედაქტორი:

მამები და შვილები, შვილები და მშობლები, თაობათა ცვლა და მოძრაობა, განვითარება საზოგადოების, ერის, განათლებულობა და მორალი, პატრიოტიზმი და ტოლერანტობა და კიდევ მრავალი სხვა მარადიული თემა ახლისა და ძველის დაპირისპირების, გნებავთ, განვითარებადი უარყოფის ფონსა თუ საფუძველზე.

პარალელურად — ახალი თაობის ერთგულება მამათა ტრადიციებისა, ურთულესი ურთიერთობები. თუ ჩვენ ვართულებთ? თუ დროა ასეთი?

70-იანი წლების დასაწყისში ჰოლივუდში გადაიღეს ფილმი, რომელიც იმდროინდელი „დასავლეთის საზოგადოების“ მწვავე პრობლემას — მამათა და შვილთა დამოკიდებულებას (ჩვენთან ასეთი პრობლემა, როგორ გეკადრებათ, არ არსებობდა), ფრიად ორიგინალურად წარმოაჩენდა.

ახალგაზრდა ოჯახს ნანატრი შვილი გაუჩნდება, თეთრი, ფუნჩულა, მომღიმარი და უსუსური, მშობელს მინდობილი არსება.

ცოტა ხანში იქაურ სამეზობლოში ყელგამოღადრულ ჯერ ერთ, მერე მეორე ადამიანს იპოვის პოლიცია. შეშინდა მოსახლეობა, დაიძაბა პოლიცია: დღე და ღამე ეძებენ მანიაკს.

რომ არ გავაგრძელო, აღმოჩნდება, რომ კაცისმკვლელი არის... ეს ძუძუთა ბავშვი. ბავშვი კი არა — მონსტრი უსუსური ბავშვის ფორმით.

იხლართება დრამატული კოლიზიები, მშობლიური გრძნობა (მაინც შვილია!), უპირისპირდება მოვალეობას (მკვლელის გამოაშკარავებას) ....თქვენ მიხვდით, რომელს უნდა გაემარჯვა.

დიახ, ასეა: მამა აპოვნინებს პოლიციას გვირაბში დამალულ, შეშინებულ ღვიძლ შვილს — მონსტრს, რომელსაც მის თვალწინ დაცხრილავენ.

ასე ნართაულად მოისურვეს ფილმის ავტორებმა აესახათ ახალი თაობის — შვილების დაუნდობელი ბუნების შესაძლო გამოვლენის პრობლემა იმდროინდელ დასავლეთში.

რატომ გავიხსენე?

იმიტომ, რომ სულ ცოტა ხნის წინათ დაუნდობლობის ასეთ ატმოსფეროში „წვრთნიდნენ“ და კრიმინალურ მონსტრებად სურდათ ჩვენი შვილების ჩამოყალიბება ქართველ ნათლიმამებს.



რეციდივები დღესაც იჩენს თავს, სამწუხაროდ. თითო-ოროლა, მაგრამ — მაინც. და ამის შესახებ წაიკითხავთ დღევანდელი ნომრის მეოთხე გვერდზე. მთავარი მაინც სხვაა — დიდი ქართული ტრადიცია მშობლის პატივისცემის და შვილის სიყვარულის, რომელიც ხან მისაბაძ მაგალითად ჩამოყალიბდება, ხან წინ აღუდგება მწვავე პრობლემას.

ნომრის მთავარი თემა:

„მშობელი შობილს არას ეტყოდა?..“

იხ. მე-3—4 გვ.

საკომიტეტო მოსმენა

ეროვნულ ბანკს კონტროლის პალატა შეამოწმებს

საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა განიხილა საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიში 1995 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ.

გამოიკვეთა პრობლემები, მნიშვნელოვანი ხარვეზები და დარღვევები. კერძოდ, ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის გვერდის ავლით ეროვნულ ბანკს გაცემული აქვს 3 მლრდ. რუბლის, 400 მლრდ. კუპონისა და 1 მილიონ 205 ათასი ლარის კრედიტები. კრედიტები გაცემულია 4 ბანკზე — „თბილკრედიტბანკი", „მერკური", „ნარიყალა" და „ფოლადი". ამასთან, ამ ბანკებზე გაცემული კრედიტების დაფარვის ვადა მნიშვნელოვნად აღემატება საკრედიტო აუქციონებზე აღებული კრედიტების დაფარვის ვადას, ხოლო საკრედიტო აუქციონების გვერდის ავლით გაცემული კრედიტების ჯამი — აუქციონზე გაყიდული კრედიტების ჯამს.

კომიტეტის წევრების აზრით, „აბსოლუტბანკის" მიერ საიუბილეო ოქროს მონეტების გამოშვების ფაქტი ეროვნული ბანკის მონეტების გამოშვების ექსკლუზიური უფლების აშკარა დარღვევაა.

საკომიტეტო მოსმენაზე ყურადღება გამახვილდა 1995 წელს საქართველოს ტერიტორიაზე რუბლის მიმოქცევის საკითხზე. მიხეილ ჯიბუტის აზრით, ეროვნული ბანკის პოლიტიკა ამ ნაწილში არასწორი და წამგებიანი იყო. „პირველ რიგში დაირღვა პარლამენტის დადგენილება, რომელიც ფიქსინგის წესით კუპონის გაცვლითი კურსის დადგენას ამერიკულ დოლართან მიმართებაში გულისხმობდა. ხოლო რუბლზე უნდა დაწესებულიყო მისი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მერყეობის საზღვრები თბილისისა და მოსკოვის სავალუტო ბირჟებზე კროს-კურსების თანაფარდობიდან გამომდინარე. ეს ნაბიჯი საქართველოს ძალიან ძვირი დაუჯდა", — განაცხადა ბატონმა ჯიბუტმა.

შეცდომებია დაშვებული ბიუჯეტის დაფინანსების საკითხშიც. პარლამენტის გადაწყვეტილების გარეშე ეროვნულმა ბანკმა 47,8 მლნ. ლარი გამოუყო სესხად ფინანსთა სამინისტროს, რითაც დაარღვია საქართველოს კანონი „ეროვნული ბანკის შესახებ", რომლის 57-ე მუხლის თანახმად ეროვნული ბანკის მიერ ფინანსთა სამინისტროსთვის გაცემული და დაუბრუნებელი სესხები არ უნდა აღემატებოდეს წინა სამი წლის საშუალო სახელმწიფო შემოსავლების 5 პროცენტს.

საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარის ზაზა სიორიძის წინადადებით, საკითხების შესწავლის მიზნით, მათი აქტუალობიდან გამომდინარე, დაინიშნება შემოწმებითი აუდიტი და ეროვნულ ბანკს კონტროლის პალატა შეამოწმებს.

საკომიტეტო მოსმენამ ცხადყო, რომ ეროვნული ბანკის საქმიანობაში სერიოზულ ხარვეზებს აქვს ადგილი. საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების რეკომენდაციების შესრულება და, სარეზერვო ფონდის მეშვეობით ლარის კურსის სიმყარის შენარჩუნება აუცილებელია, მაგრამ არაა საკმარისი საქართველოს საფინანსო სისტემის გაჯანსაღებისათვის. ეროვნული ბანკის მუშაობაში არსებული ნაკლოვანებები, გარდა მოსმენაზე დაფიქსირებულისა, პირდაპირ ზემოქმედებას ახდენს საბანკო სისტემაზე, განაპირობებს რა მის ღრმა კრიზისს. აღარაფერს ვამბობთ „მძიმე ფულის" პოლიტიკის უარყოფის ასპექტებით წარმოების აღორძინებისა და ბიზნესის განვითარების თვალსაზრისით. თუ როგორ უნდა ზრუნავდეს ეროვნული ბანკი მტკიცე ლარის პირობებში წარმოების განვითარებაზე, ამის შესახებ ეროვნული ბანკის ფულად-საკრედიტო პოლიტიკაში არაფერია გათვალისწინებული.

ბრივერ კაიშაური.

პრესკონფერენცია

თემიდას სასწორზე

მოდით, ერთ პინაზე დავსვათ ჰაიათი ქუჩუქი — თურქული ფირმა „ჩალდარის" და საქართველოში სულეიმან დემირელის სახელობის კოლეჯის პრეზიდენტი, ქართველების სიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელიც ბოლო ხანს ჩვენი საზოგადოებისა და ჟურნალისტთა თავდასხმის ობიექტად იქცა, გვერდზე მოვუწყოთ თუნდაც თავისი წარსული და აწმყო, საქმიანობა და მიზან-ამოცანები. მეორე პინაზე — ჩვენ ჩამოვსხდეთ ჩვენი მძიმე ბრალდებებით. აი, ისინიც: „ორი ავტორიტეტშელახული თურქული ფირმის უკან დგანან ისლამური ფუნდამენტალისტები, ადამიანები, რომლებიც საკუთარ სამშობლოშიც კი იდევნებიან. მათ დიდძალი ლიტერატურა ჩამოაქვთ საქართველოში და ჩაფიქრებული აქვთ სახიფათო გეგმა, რომლის განხორციელებასაც მშვიდობიანი გზით, საუნივერსიტეტო განათლებით აპირებენ".

ოთხი წლის განმავლობაში ქართული პრესის ფურცლებზე ქება-დიდებით ვიხსენიებდით ს. დემირელის სახელობის კოლეჯს და მის დამაარსებელს (არც სატელევიზიო რეკლამები დაგვიკლია). სწავლების მაღალი დონე, მომთხოვნელობა, დისციპლინა, შრომისა და დასვენების შესანიშნავი პირობები, აი, რა იზიდავს ამ სკოლაში ქართველ ბავშვებს და მათ მშობლებს, — ასე ვწერდით (ამას დღესაც ვერავინ უარყოფს). შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნას უამრავი ქართველი ბეჯითად, თავდაუზოგავად უკრავდა ტაშს. ბევრმა მეცნიერმა მაშინ საოჯახო ბიუჯეტის შევსების პერსპექტივებიც დასახა და „თურქული" უნივერსიტეტის აუდიტორიებში შესვლის მოლოდინში „პატრიოტული" გრძნობები მიაძინა, მაგრამ... თუ ამ მრავალწერტილს მიღმა ფხიზელი თვალით გადავიხედავთ, თემიდას სასწორი იქით თუ არა, არც აქეთ გადმოიხრება.

1993 წლის 21 სექტემბერს თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ბატონმა ს. დემირელმა საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს მიმართა წერილით, რომელშიც რეკომენდაცია გაუწია „თურქეთის რჩეულ სასწავლო დაწესებულებათა გამოცდილ და კომპეტენტურ სპეციალისტებს".

1994 წლის 22 თებერვალს ბატონმა ე. შევარდნაძემ საპასუხო წერილში მაღალი შეფასება მისცა „თურქეთის განათლების სისტემის გამოცდილი და კომპეტენტური მოღვაწეების მიერ საქართველოში გაშლილ მეტად აქტიურ და ორმხრივ სასარგებლო საქმიანობას" და აღნიშნა, რომ მთლიანად იზიარებს დემირელის მოსაზრებას, რომ განათლების სფეროში საქართველო-თურქეთის ურთიერთობა კიდევ ერთი მიმართულება იქნება ჩვენი ორი ქვეყნის დაახლოების გზაზე.

მეგობარი ქვეყნის პრეზიდენტს სხვაგვარად, ალბათ, ვერც გამოეხმაურები.

საზოგადოების ვნებათა ღელვაც გასაგებია, მხოლოდ გაუგებარია კითხვების ჯერი: თურქებს რად დავუშინეთ, რატომ ჩამოხვედით საქართველოში, რატომ გახსენით აქ უნივერსიტეტიო. რაო, ძალით შემოგვეჭრნენ? როგორც ზოგიერთი ამტკიცებს „ძალით გამოგლიჯეს (საინტერესოა, ძალაში რას გულისხმობენ? — ლ. კ.) ლიცენზია განათლების სამინისტროს"? ბაზალეთში მიწის ნაკვეთი უკანონოდ მიიტაცეს?

დუმილი ყოველთვის ოქრო როდია! — იფიქრა წაყენებული ბრალდებებით შეურაცხყოფილმა თურქმა ბიზნესმენმა და ქართველი ჟურნალისტებისათვის პრესკონფერენცია გამართა. „თურქული კოლეჯი", „თურქული უნივერსიტეტი", ასე იხსენიებენ საქართველოში განათლების ამ ორ უცხოურ კერას, რაზეც ჰაიათ ქუჩუქმა პროტესტი განაცხადა, ეს გახლავთ ინგლისურენოვანი სასწავლებლები, რომლებიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე მოქმედებს, მე კანონი არ დამირღვევია. ნებისმიერ კომისიას შეუძლია შეამოწმოს ჩემი საქმიანობაო.

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის გახსნას საქართველოში რომ ბევრმა დაუჭირა მხარი, ამის საილუსტრაციოდ ჰ. ქუჩუქმა პრესკონფერენციის მონაწილეებს დოკუმენტები წარუდგინა. მან კატეგორიულად უარყო ისლამურ ფუნდამენტალისტებთან კავშირის ბრალდებაც: — ჩემს ფირმასთან და ჩემს მოღვაწეობასთან ფუნდამენტალისტებს არავითარი კავშირი არა აქვთ. ამის დაზუსტება ძალზე იოლია, თურქეთი დემოკრატიული ქვეყანაა, განა დემირელი თქვენი ქვეყნის პრეზიდენტთან ფუნდამენტალისტს გაუწევდა რეკომენდაციასო?

ცოდვა-ბრალის სასწორზე შემდგარმა თურქმა ბიზნესმენმა ჟურნალისტთა ყველა კითხვას ისე უპასუხა, რომ მხოლოდ თემიდას დაუტოვა სათქმელი...

ლეილა კოშკაძე.

ენერგეტიკა

ელექტროენერგია გსურთ? გადაიხადეთ!

მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მასობრივი გადაუხდელობის გამო ქვეყნის ელექტროენერგეტიკაში საგანგაშო მდგომარეობა შეიქმნა. შეფერხებულია წამყვანი ელექტროსადგურების, მათ შორის ენერგეტიკის ფლაგმანის — ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის, მისგან გამომავალი მაღალი ძაბვის უმნიშვნელოვანესი გადამცემი ხაზების, მაგისტრალური დანიშნულების ქვესადგურების და მთლიანად ენერგომეურნეობის საექსპლუატაციო, სარემონტო-აღდგენითი სამუშაოები, უსახსრობის გამო გაჩერებულია თბილსრესი. უფრო მეტიც, ენერგეტიკოსებს რამდენიმე თვეა ხელფასი არ მიუღიათ.

ეს ხდება მაშინ, როცა ელექტროენერგეტიკამ, მიუხედავად საყოველთაოდ ცნობილი სიძნელეებისა და კატაკლიზმებისა, ერთ-ერთმა პირველმა დაიწყო სიმძლავრეების აღდგენა, ამასთან უკვე დღეს პრაქტიკულად უზრუნველყო ეკონომიკის ყველა დარგი. ფაქტია, საბაზრო ურთიერთობის დამკვიდრების პირობებში ელექტროენერგეტიკა სრულიად დაუცველი აღმოჩნდა, ამასთან, მას ფაქტობრივად დაეკისრა მოსახლეობის სოციალური დაცვის ფუნქციები, რაც სახელმწიფო ხელისუფლების პრეროგატივა უნდა იყოს. ამის შედეგია, რომ ელექტროენერგეტიკული სექტორი დღეს კრიტიკულ მიჯნაზე იმყოფება.

როგორ გამოვაღწიოთ მდგომარეობიდან? ფინანსური პრობლემის გადაწყვეტით. თუ ეს მოხერხდა, ჩვენ გავაგრძელებთ გეგმაზომიერ მუშაობას დარგის სრულ რეაბილიტაციამდე, წინააღმდეგ შემთხვევაში, უახლოეს პერიოდში ელექტროენერგეტიკა შეწყვეტს ფუნქციონირებას. ამიტომ დროა, შემოვკრათ განგაშის ზარები, ყველამ გამოვიჩინოთ მაღალი შეგნებულობა, გავიცნობიეროთ პრობლემის სიმწვავე ჩვენსავე საკეთილდღეოდ. მოგიწოდებთ ყველას ეკონომიურად მოვიხმაროთ ელექტროენერგია, ხოლო რასაც მოვიხმართ, მისი ღირებულება უცილობლად გადავიხადოთ. ვირწმუნოთ, რომ უფასოდ ელექტროენერგიას ვერცერთი მაღალგანვითარებული სახელმწიფო ვერ გასცემს.

ვიმედოვნებთ, რომ საქართველოს ყველა მხარე, ქალაქი, სოფელი, საწარმო, ოჯახი თუ მოქალაქე აღმოჩნდება მოწოდების სიმაღლეზე და რეალურ წვლილს შეიტანს ქვეყნის ენერგეტიკის გადარჩენის საშვილიშვილო საქმეში.

ენგურის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის და სამეგრელოს რეგიონის ენერგეტიკოსების სახელით:

იური გუგუჩია,
„საქენერგოს" თავმჯდომარის მოადგილე სამეგრელო-აფხაზეთის რეგიონში;

გიორგი მიქავა,
ენგურჰესის დირექტორი;
ალფეზი შელია,
ვარდნილჰეს-1-ის დირექტორი;
კონი ჟანია,
თაღოვანი კაშხლის ექსპლუატაციის დირექტორი.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

მორიგი ტურნე ახლო აღმოსავლეთში

ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი უორენ კრისტოფერი მორიგი მისიით ახლო აღმოსავლეთს გაემგზავრა. იგი შეხვდება ისრაელის ახალ პრემიერ-მინისტრს ბინიამინ ნეთანიახუს და შესთავაზებს განაახლოს მოლაპარაკება სირიასთან ფორმულით — „მშვიდობა მიწების სანაცვლოდ", რომელიც საფუძვლად დაედო ახლო აღმოსავლეთის მშვიდობიან პროცესს. შემდეგ სახელმწიფო მდივანი ეგვიპტეს ეწვევა. მოლაპარაკებას გამართავს პრეზიდენტ ხოსნი მუბარაქთან და პალესტინის ავტონომიის მეთაურ იასირ არაფატთან.

ადანაშაულებენ გრიგოლ იავლინსკის

რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში (პარლამენტის ქვედა პალატა) მთავრობისეულმა „ჩვენი სახლი რუსეთია" ფრაქციამ დაადანაშაულა სათათბიროში მოძრაობა „იაბლოკოს" ლიდერი გრიგოლ იავლინსკი, რომელიც „მოსწყდა საკუთარ ელექტორატს". ეს განაცხადა ამ ფრაქციის ლიდერმა სერგეი ბელიაევმა. კვირას „იაბლოკოს" ყრილობაზე მისმა დელეგატებმა მიიღეს პრეზიდენტ ბორის ელცინისადმი მოწოდება, რომელშიც შეპირდნენ დაუჭირონ მხარი მის კანდიდატურას საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში მხოლოდ იმ პირობით, თუ იგი შეასრულებს მთელ რიგ მოთხოვნებს. ბელიაევის სიტყვით „იაბლოკოს" ლიდერისაგან განსხვავებით მისმა ელექტორატმა რუსეთის უმეტეს რეგიონებში გააკეთა არჩევანი ახლანდელი პრეზიდენტის სასარგებლოდ, დაგმო კომპარტიის ლიდერის გენადი ზიუგანოვის კანდიდატურა.

ჩეჩნეთიდან ჯარების გამოყვანა დაიწყება

ჩეჩნეთში ჯარების დაჯგუფების სარდალმა ვიაჩესლავ ტიხომიროვმა გროზნოში გამართულ ბრიფინგზე გამოაცხადა, რომ 28 ივნისიდან დაიწყება 245-ე მოტომსროლელი პოლკის გაყვანა რესპუბლიკიდან, როგორც კეთილი ნების ჟესტი. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს აქცია განხორციელდება ყოველგვარი პირობის დაუთქმელად, რაც ცხადყოფს ფედერალური მხარის ერთგულებას კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების საქმისადმი.

გენერალმა დაახასიათა სიტუაცია ჩეჩნეთში, როგორც რთული. მისი სიტყვით, სეპარატისტები არ ასრულებენ მიღწეულ მორიგებებს, არ ესწრაფვიან ჩეჩნეთის პრობლემის კონსტრუქციულ გადაწყვეტას, ამასთანავე ტიხომიროვმა აღნიშნა, რომ ეს მისი პირადი აზრია.

კარაჯიჩი უკანონოდ მიიჩნევს

ბოსნიის სერბთა რესპუბლიკის პრეზიდენტი რადოვან კარაჯიჩი უკანონოდ მიიჩნევს დეიტონის შეთანხმებებით მისთვის პოლიტიკაში მონაწილეობის აკრძალვას. მან გაზეთისადმი ინტერვიუში გამოთქვა რწმენა, რომ სერბიის პრეზიდენტი სლობოდან მილოშევიჩი არ გადასცემს არც ერთ სერბს ყოფილ იუგოსლავიის საკითხზე ჰააგის საერთაშორისო ტრიბუნალს. კარაჯიჩის აზრით, ეს ეწინააღმდეგება კონსტიტუციას და მას არასასურველი პოლიტიკური შედეგები ექნებოდა. საერთაშორისო ტრიბუნალმა ბრალად დასდო კარაჯიჩს სამხედრო დანაშაულობათა ჩადენა ბოსნიაში სამოქალაქო ომის დროს. დეიტონის შეთანხმებები გამორიცხავს მის სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას. კარაჯიჩის თქმით საკითხს, იყრის თუ არა კენჭს სექტემბრის საპრეზიდენტო არჩევნებში, გადაწყვეტს მმართველი სერბთა დემოკრატიული პარტიის ყრილობა.

პეკინის გადაწყვეტილება გაუმართლებელია

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკას მიაჩნია, რომ ტიბეტი უნდა რჩებოდეს ჩინეთის შემადგენლობაში. განაცხადა რადიოინტერვიუში ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა კლაუს კინკელმა. მან გაუმართლებელი უწოდა პეკინის გადაწყვეტილებას გააუქმოს მომავალი თვისათვის დაგეგმილი მისი ვიზიტი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში. იმის პასუხად, რომ პარტიათა უმრავლესობამ მიიღო საპარლამენტო რეზოლუცია, რომელიც გმობს ადამიანის უფლებათა შელახვას ტიბეტში. მისი სიტყვით, გერმანია ტიბეტისათვის მხოლოდ კულტურული ავტონომიის მინიჭების მომხრეა და მხარს უჭერს ამ მიმართულებით მისი სულიერი ლიდერის დალაი-ლამას ძალისხმევას. ჩინეთის ხელისუფლები დალაი-ლამას სეპარატიზმში ადანაშაულებენ, გერმანიის საგარეო საქმეთა უწყება სპეციალური განცხადებით ადასტურებს, რომ სწადია კარგი ურთიერთობა განავითაროს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან.

ჰექმათიარი ავღანეთის პრემიერი

ავღანეთის უმაღლესმა სახელმწიფო საბჭომ (უსს) ფორმალურად მოიწონა პრემიერის თანამდებობაზე ავღანეთის ისლამური პარტიის მეთაურის გულბედინ ჰექმათიარის დანიშვნა. მის დაუკითხავად მთავრობას არა აქვს უფლება მიიღოს საერთო ეროვნული გადაწყვეტილებები. მასთან ერთად მისი ორი მომხრე დაიკავებს თავდაცვისა და ფინანსთა მინისტრების პოსტებს.

ამ ტრიალ ქვეყანაზე

სამინისტრო გვთავაზობს

მიწათმოწყობის სისტემის რეორგანიზაცია და მიწის სახელმწიფო კადასტრი

საქართველოს სახელმწიფოებრიობის მშენებლობის პრობლემა მოიცავს ისეთ მნიშვნელოვან შემადგენელ ამოცანებს, როგორიც არის ქვეყანაში საწარმოო ძალთა განთავსების და, შესაბამისად, განსახლების რაციონალური სისტემის ფორმირება, ტერიტორიის გეგმარებითი ორგანიზაცია, ურბანიზაციის სტრატეგიის დადგენა, ამ პროცესის მართვა და ქალაქების მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა, საინჟინრო-სატრანსპორტო მაგისტრალების და მათი ინფრასტრუქტურის განვითარება, ეკოსისტემების ბუნებრივი წონასწორობის შენარჩუნება, სტიქიური უბედურებებისა და საომარი კონფლიქტების შედეგების შერბილება და სილატაკესთან და უმუშევრობასთან ბრძოლა.

ამ ამოცანების გადაწყვეტისათვის აუცილებელია საქართველოს ტერიტორიის სივრცითი ორგანიზაციის ნათელი სურათის წარმოსახვა და მისი მომავალი განვითარების ალტერნატიული ვარიანტების შეფასების სისტემის შექმნა. ბუნებრივია, ეს შეუძლებელია, თუ ეფექტიანად არ ფუნქციონირებს „მიწის ბაზრები", არ არსებობს უძრავი ქონების უფლებების გადაცემის მექანიზმი, არ არის უზრუნველყოფილი საკუთრების გარანტია და არ არსებობს მიწის საინფორმაციო სისტემა.

მიწის საინფორმაციო სისტემის შემუშავებისას უმნიშვნელოვანესია ისეთი საერთო ეროვნული საბაზო რეგისტრაციის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს მიწის ყოველი ნაკვეთის ერთგვაროვან აღწერას. აქ აუცილებელია აღინიშნოს, რომ ტერმინი „მიწა" განიმარტება როგორც დედამიწის ზედაპირი, მისი შემომსაზღვრელი საჰაერო აუზი, მასზე არსებული ბუნებრივი (წყალი, ორგანული სამყარო) და ანთროპოგენული (ხელოვნური გარემო: შენობა-ნაგებობანი, კომუნიკაციები) კომპონენტები და მის ქვეშ განლაგებული წიაღი და წიაღისეული.

მიწის ყოველი ნაკვეთის ერთგვაროვანი აღწერა საფუძვლად დაედება მიწის ღირებულების დასადგენ მაჩვენებელს, რაც სახელმწიფოსთვის აუცილებელია დასაბუთებული საბეგარო სისტემის შესაქმნელად და სახელმწიფოს ტერიტორიის სივრცითი ორგანიზაციის ალტერნატიული ვარიანტების შეფასების საფუძველზე ოპტიმალურის ასარჩევად.

მიწის საინფორმაციო სისტემა

მიწის საინფორმაციო სისტემა მოიცავს: მიწის რეგისტრს, მიწის კადასტრს და გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემას.

მიწის რეგისტრი ცალსახად განკუთვნილია საკუთრების უფლების სარეგისტრაციოდ, ხოლო მიწის კადასტრი წარმოადგენს სისტემას, რომელშიც შედის: იურიდიული კადასტრი, ანუ მიწის ნაკვეთების მესაკუთრეთა რეგისტრი;

საგადასახადო კადასტრი ანუ მიწის ნაკვეთების რეგისტრი მათი ღირებულების ჩვენებით;

ქალაქმშენებლობის კადასტრი ანუ მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების რეგისტრი.

მრავალმიზნობრივი კადასტრი, ანუ გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემა (გის) წარმოადგენს კომპიუტერიზებულ სისტემას, რომელიც აწარმოებს ინფორმაციის მიღებას, შენახვას, შემოწმებას, ინტეგრირებას, ანალიზს და მონაცემების აღწარმოებას. **გის-ის ტექნოლოგია** მრავალმხრივად გამოიყენება:

ეკოლოგია: ნიადაგები, რელიეფი და გეოლოგია, წყლის რესურსები, მცენარეული საფარი და ა. შ.;

ინფრასტრუქტურა: მიწათმოწყობა, შენობა-ნაგებობები, კომუნალური მეურნეობა, სატრანსპორტო და საინჟინრო კომუნიკაციები;

სამართლებრივი საკითხები: მიწათმფლობელობა, შეფასება, მიწათსარგებლობა, კანონიერება;

სოციალურ-ეკონომიკური საკითხები: ჯანდაცვა, კეთილდღეობა, მოსახლეობის აღწერა, მარკეტინგი.

თანამედროვე მრავალმიზნობრივ კადასტრში ფაქტიურად უპირველესი ყურადღება ექცევა არა შეჯამებულ ზოგად მონაცემებს, არამედ დეტალურ ინფორმაციას ინდივიდუალური მიწის ნაკვეთების დონეზე. ის უნდა უპასუხებდეს, როგორც ცალკეული პირების, ისე საზოგადოების ერთიან მოთხოვნილებებს. კადასტრის გამოყენება მნიშვნელოვან უპირატესობებს იძლევა შემდეგ სფეროებში: აქტივების მართვა, უძრავი ქონების საკუთრების გადაცემა, კრედიტების უზრუნველყოფა, დემოგრაფიული სიტუაციის ანალიზი, განვითარების მართვა, საგანგებო ღონისძიებების დაგეგმვა და ორგანიზაცია, გარემოზე ზემოქმედების შეფასება, საცხოვრებელთან დაკავშირებული გარიგებები და მიწის ბაზრის ანალიზი, მიწის რეფორმები, სტატისტიკური მონაცემების კონტროლი, ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარება, უძრავ ქონებაზე ფასიანი ქაღალდების პორტფელის კონტროლი და რეგულირება, საზოგადოების ინფორმირება, ნაკვეთის ადგილმდებარეობის განსაზღვრა, მიწის ნაკვეთების მომჭირნეობით გამოყენება და დაცვა.

მიწათმოწყობის სისტემის ძირითადი ასპექტები

ტერიტორიულ-სივრცითი გეგმარების ასპექტი

ტერიტორიულ-სივრცითი გეგმარება ძირითადად წარმოადგენს მიწის რესურსების გადანაწილების პროცესს. მისი ხასიათი დამოკიდებულია ცალკეული ქვეყნების პოლიტიკურ სისტემაზე და ხელისუფლების სხვადასხვა ეშელონებს შორის განაწილებულ პასუხისმგებლობაზე.

ძლიერი ეკონომიკის შექმნის საწყის ეტაპზე ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს გეგმარებისა და განვითარების ისეთი სტრატეგია, რომელიც მიმართულია ინფრასტრუქტურების სრულყოფისა და ოპტიმალური ბუნებათსარგებლობისაკენ. ტერიტორიულ სივრცითი გეგმარება უნდა განხორციელდეს მიწის რეგისტრაციასთან შეთანხმებით. საკუთრების არსებული მოდელებისა და უფლებების განუსაზღვრელობა ხშირად იწვევს განვითარების პროგრამების რეალიზაციის შეფერხებას ან მათ ჩაშლას, განსაკუთრებით ქალაქებში. განვითარების ნებისმიერი პროგრამის შემუშავებისას პირველ რიგში აუცილებელია საკუთრებისა და მიწათმოწყობის არსებული მოდელის განსაზღვრა. განვითარების პროექტების მართვისათვის საჭიროა ყოვლისმომცველი საინფორმაციო სისტემა. კადასტრული რუკების საფუძვლად გამოყენება ძირითადად უზრუნველყოფს ამგვარ სისტემებს. კადასტრული რუკები შესაძლებელია გახდეს მშენებლობის, საქალაქო და სასოფლო გეგმარების ნებართვების რეგისტრაციის საფუძველი.

ამგვარი მრავალმიზნობრივი ფუნქციის განსახორციელებლად ქალაქმშენებლობის კადასტრული სისტემა ვეღარ შემოიფარგლება მხოლოდ უძრავ ქონებაზე დოკუმენტაციის გაცემით. საჭიროა დამატებითი ინფორმაცია რელიეფის, ჰიდროქსელის, ტყის, ნაგებობებისა და გზების შესახებ, რაც ასევე მნიშვნელოვანია მშენებლობის გეგმარებისა და გარემოს დაცვის სფეროებში არსებული პროექტების სამართავად.

მრავალმიზნობრივი კადასტრი ეფექტიანად გამოიყენება ეკოლოგიური ზემოქმედების შეფასების განსახორციელებლად და განვითარებისა და მშენებლობის პროექტების რეალიზაციაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად. ამ მიზნის მისაღწევად შემუშავებული და აპრობირებულია ე. წ. გეოგრაფიული ინფორმაციის სისტემის მექანიზმი.

სამართლებრივი ასპექტი

მიწათმოწყობის თანამედროვე სისტემაში მიწა განიხილება როგორც ერთგვარი ობიექტი, რომლის მიმართ კერძო პირებს ან ადამიანთა ჯგუფებს (თემებს) გააჩნიათ საკუთრების და მოხმარების უფლება, რომელიც შეიძლება გაიყიდოს და ექვემდებარება დაბეგვრას, წარმოადგენს ეკონომიკური წარმოების საფუძველს. „იურიდიული კადასტრის" შექმნა გულისხმობს უძრავი ქონების ფლობის „ტიტულის" შემოღებას, რაც თავისთავად განაპირობებს საკუთრებისა და უძრავი ქონების ფლობის უფლებების საიმედო დაცვას. იურიდიული კადასტრი წარმოადგენს, აგრეთვე, მიწებთან დაკავშირებული კონფლიქტების შემცირების ძირითად საშუალებას.

არსებობს კანონმდებლობის ოთხი ძირითადი სფერო, რომელიც განსაკუთრებულ ზემოქმედებას ავლენს მიწათმოწყობის პროცესზე:

— კანონი უძრავი ქონების შესახებ, რომელიც არეგულირებს მიწის საკუთრების მიმართ დადებულ გარიგებებს;

— კანონები, რომლებიც არეგულირებენ მიწათმოწყობის პრინციპებს (მათ შორის კადასტრების მართვის დებულებები);

— კანონები „ინტელექტუალური" საკუთრების მიმართ, რომლებიც ეხება იდეებს, ინფორმაციის ფლობას, ინფორმაციულ მონაცემთა დაცვას და სხვა;

— კანონები, რომლებიც ეხება გაკოტრებას, უძრავი ქონების მემკვიდრეობითობას და სხვა მდგომარეობებს, რომლებიც დაკავშირებულია უძრავ ქონებასთან და ამით მიწათმოწყობის სისტემასთან.

სახელმწიფომ, რომელიც აწესებს ახალ კანონებს მიწის შესახებ, კანონმდებლობით უნდა განსაზღვროს:

— მიწის მახასიათებლები, საკუთრების ფორმები და ხასიათი, აგრეთვე მიწათმფლობელობის ფორმები;

— განსხვავება უძრავ და პირად ქონებას, მიწის საკუთრებას, მიწის ფლობასა და მიწათსარგებლობას შორის. აქ დაცული უნდა იქნას მიწათმფლობელების, არენდატორების და მესამე პირთა უფლებები, ძირითადი კრედიტორების უფლებების ჩათვლით;

— ფლობის რეგისტრირებული უფლებები;

— შეზღუდვების ყველა ფორმები, რაც კოდიფიცირებულ იქნება სატიტულო უფლების შესაბამისად;

— პირობები და საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია მიწათსარგებლობის უფლება გადაიქცეს საკუთრების უფლებად.

კანონმდებლობა უნდა მოიცავდეს სახელმწიფო, საქალაქო და სასოფლო რაიონების, ცალკეული მოქალაქეებისა და ორგანიზაციების კუთვნილი მიწებისა და საკუთრების ყველა სახეს. კანონმდებლობაში მითითებული უნდა იყოს აგრეთვე ვის აქვს საკადასტრო აგეგმვის ჩატარების უფლება, უნდა აღინიშნოს სარეგისტრაციო მონაცემების ხარისხი და სხვა.

ფინანსურ-ეკონომიკური ასპექტი

მიუხედავად უდიდესი მნიშვნელობისა, ფუნქცია, რომელსაც ასრულებს მიწა ყოველი ქვეყნის ეკონომიკაში, არ არის ყოველთვის თვალსაჩინო. მიწაზე საიმედოდ დაცული უფლებების გარეშე შეუძლებელია ტერიტორიის რაციონალური ორგანიზაციისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა. უამისოდ გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყანას უჩნდება გადაულახავი პრობლემები უცხოური კაპიტალის აქტიურად მოზიდვის მხრივ. საბაზრო ეკონომიკის პირობებში ინვესტორებს სჭირდებათ ფორმალური სისტემა, რომელიც დაარეგულირებს მიწათმოწყობის საკითხებს და უძრავი ქონების ფლობის უფლებებს. უძრავი ქონების გარანტიებით გაცემული სესხები საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებში წარმოადგენს საკრედიტო ბაზრის მეტად მნიშვნელოვან ელემენტს.

მიწა არ არის მხოლოდ სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ის წარმოადგენს ბუნებრივ რესურსს, რომლის (როგორც უძრავი ქონების) საკუთრებად ფლობის უფლება ექნება როგორც სახელმწიფოს, ისე იურიდიულ და ფიზიკურ პირებს და მათ ჯგუფებს.

მიწა და ინფორმაცია მიწის შესახებ წარმოადგენს რესურსს, რომელიც უნდა განვითარდეს ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

მიწათსარგებლობაში ეკონომიკური რეფორმების გატარება გულისხმობს: მიწების ბაზრის შექმნას, განვითარებას და კონტროლს; კრედიტების გარანტიების უზრუნველყოფას და ადამიანის საარსებო გარემოს ოპტიმალური გამოყენების წანამძღვრის შექმნას.

მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არსებობს მიწის სახელმწიფო შეფასებისა და ფისკალური (პირდაპირი გაგებით — საზედამხედველო) კადასტრების მართვის ცენტრალური ორგანო. განვითარებული ქვეყნების გამოცდილება ცხადყოფს, რომ შეფასების ცენტრალური ორგანოს შექმნას, კადასტრების მართვის ორგანოების ფარგლებში, გააჩნია რიგი უპირატესობანი კანონებისა და ნორმების ერთგვაროვანი გამოყენების, თანხების ეკონომიური ხარჯვისა და მართვის სისტემის კომპიუტერიზაციის თვალსაზრისით. დიდი მნიშვნელობა აქვს ამ ორგანოს მიწის საკუთრების გაყიდვის პროცესში სპეკულაციისა და მიწის ბაზრების ინფორმაციებში სოციალური და ეკონომიკური ცვლილებების გამოვლენის მონიტორინგის უზრუნველსაყოფად.

მიწათმოწყობის მართვის ასპექტი

მიწათმოწყობა გულისხმობს ქვეყანაში მიწის პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებას, სამართლებრივი ნორმების შემუშავებას, რესურსების ოპტიმალურ გამოყენებას, მიწათსარგებლობის მექანიზმების შექმნას და მიწის რესურსებზე არსებული ინფორმაციების მართვას.

მიწის პოლიტიკა მოიცავს სოციალურ-ეკონომიკური და სამართლებრივი სფეროების მთელ კომპლექსს. საზოგადოებისა და ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია ბალანსირების მიღწევა მიწის, როგორც ძირითადი ბუნებრივი რესურსის ექსპლუატაციასა და დაცვას შორის.

სახელმწიფო პოლიტიკის გატარება მიწათსარგებლობის სისტემაში გულისხმობს მიწის რეფორმის გამარტივებას, სახელმწიფო მიწების დაცვას, ურბანიზაციის პროცესის ეფექტიანობის ამაღლებასა და ინფრასტრუქტურის განვითარებას. აღსანიშნავია, რომ უძრავი ქონების ფლობის საიმედო დაცვა წარმოადგენს მნიშვნელოვან ელემენტს საბინაო პოლიტიკის ეფექტიანობის უზრუნველსაყოფად.

მიწათსარგებლობის ახალი მართვის სისტემის დანერგვისას, ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ, რეკომენდებულია შემდეგი თანმიმდევრული მოქმედება: მომხმარებელთა მოთხოვნილებების განსაზღვრა; ახალი ადმინისტრაციული მექანიზმების შემუშავება; მიწისა და საკუთრების უკვე არსებული უფლებების განსაზღვრა; ახალი კანონმდებლობის შემუშავება; მიწის ახალი ნაკვეთების დემარკაცია და აგეგმვა; მიწების მონაცემთა შენახვისა და მოპოვების პროცედურების ახალი წესის შექმნა; ფინანსური მართვის ახალი მექანიზმების შემუშავება; სისტემის ფუნქციონირების პრინციპების საზოგადოებისათვის გაცნობა.

ქვეყნის მდგრადი განვითარების უზრუნველსაყოფად საქართველოშიც უნდა ამოქმედდეს ისეთი უწყება, რომელიც თავისი საქმიანობით მოიცავს ყველა იმ სფეროს, რომლის მახასიათებლების შეტანა აუცილებელია მიწის მრავალმიზნობრივ კადასტრში. თავისთავად ცხადია, რომ ეს უწყება არ უნდა ასრულებდეს დაინტერესებულ — ე. წ. „მომხმარებლის" ფუნქციას. მისაღებია განაწილდეს ისეთი სქემა, როდესაც მრავალმიზნობრივ მიწის კადასტრთან დაკავშირებული საქმიანობა ხორციელდება სხვა კომპეტენტური უწყებების, სამხარეო და ადგილობრივი სამსახურების მონაწილეობით.

საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტრო წარმოადგენს ადამიანისა და მთლიანად საზოგადოებისათვის ღირსეული საარსებო გარემოს შექმნის სახელმწიფო პოლიტიკის გამტარებელ ცენტრალურ ორგანოს. მისი უმთავრესი ფუნქციაა ურბანიზაციის სტრატეგიის შემუშავება და ამ პროცესის მართვაში მონაწილეობა, ქვეყნის ტერიტორიულ-სივრცითი დაგეგმარების ორგანიზაცია და მისი რეალიზაციის კოორდინაცია, დასახლებული პუნქტების მდგრადი განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა.

აქედან გამომდინარე, აუცილებელია, აღნიშნული სამინისტრო იყოს მრავალმიზნობრივი და ქალაქმშენებლობის კადასტრების შექმნის ერთ-ერთი მთავარი მონაწილე.

ტატო ბერიძე,
საქართველოს ურბანიზაციის და მშენებლობის სამინისტროს ბუნებათსარგებლობის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მიწათმოწყობის განყოფილების უფროსი.

ასლან ლოლოგვერიძე,
ტერიტორიული განვითარების, ქალაქმშენებლობის და არქიტექტურის სამმართველოს უფროსი.

... შვილი დასაკარგავი?!

უცხოეთში გაშვილებულ ბავშვთა რიცხვი იზრდება

გაშვილების საკითხს მიეძღვნა შეხვედრა, რომელიც გამართა საერთაშორისო საზოგადოებამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" (პრეზიდენტი ნანული შევარდნაძე).

დამაფიქრებელია გაშვილებულ ბავშვთა სტატისტიკა ბოლო ოთხი წლის განმავლობაში: საქართველოს მოქალაქეებმა წელიწადში 100-მდე (თბილისის მონაცემებით) ბავშვი იშვილეს; ამავე დროს, 1992 წელს საზღვარგარეთ 7 ბავშვი გააშვილეს, 1993 — 10, 1994 — 17, ხოლო 1995 წელს ეს ციფრი 82-მდე გაიზარდა.

საზოგადოებრიობა შეშფოთებულია: რა არის ამ ნეგატიური მოვლენის მიზეზი?

საქართველოში მოქმედი კანონები და ინსტრუქციები გაშვილების შესახებ აშკარად მოძველებულია, ისინი მაშინ მიიღეს, როცა ჩვენი ქვეყნიდან საზღვარგარეთ გაშვილების პრაქტიკა საერთოდ არ არსებობდა. ეს ტენდენცია შედარებით ახალია და ამდენად დებულებები გადასინჯვას საჭიროებს. მაგალითად, მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, გაშვილება ძირითადად განათლების ორგანოების პრეროგატივაა. საკითხის კომპლექსურად გადაწყვეტისათვის კი საჭირო ხდება ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს, სხვა უწყებათა აუცილებელი მონაწილეობა.

გაშვილების პროცედურა უკანასკნელ პერიოდში ხშირად ირღვევა. ნაცვლად იმისა, რომ გასაშვილებელ ბავშვთა შესახებ ჯერ განათლების განყოფილებებისათვის ეცნობებინათ, სადაც ადგილობრივი მშვილებლების დიდი რიგებია, ერთდროულად ატყობინებენ უცხოურ სააგენტოებს, რაც დაუშვებელია.

არის შემთხვევები, როდესაც დაინტერესებული პირები გამოჯანმრთელებულ ბავშვებს გაშვილების მიზნით შეგნებულად აყოვნებენ საავადმყოფოებში, რისი გამოაშკარავება მხოლოდ ჯანდაცვის სისტემის რეფორმის შემდეგ გახდა შესაძლებელი, როცა დაიწყეს ავადმყოფთა საწოლდღეების აღნუსხვა. გაირკვა, რომ დადგენილი ნორმები აქ ძირითადად მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა ხარჯზე ირღვევა.

გაირკვა ისიც, რომ ღრმანაკლულ ბავშვზე შეტყობინება განათლების განყოფილებაში სტაციონარში შემოყვანისთანავე იგზავნება, ფორმდება სტატუსი, მოიძებნება მშვილებელი. ბავშვს კი მცირე მედიკამენტური კორექცია, ნორმალური მოვლა, კვება და მასაჟი მოაძლიერებს, არადა, იგი უკვე გამზადებულია გასაშვილებლად. ჯანმრთელობის სამინისტრომ დასვა საკითხი — შემუშავდეს სპეციალური ფორმა, რომელშიც ნაჩვენები იქნება ბავშვის როგორც თავდაპირველი დიაგნოზი, ასევე მდგომარეობა გაშვილების მომენტშიც, რათა ქართველი მშვილებელი არ შეცდეს.

შეხვედრის დროს ითქვა, რომ ბავშვს, რომლის გადარჩენაც შეიძლება, უნდა უპატრონოს სახელმწიფომ, ქალთა ორგანიზაციებმა, საზოგადოებრიობამ. სასურველია შეიქმნას კომპეტენტური კომისია, რომელიც განიხილავს ბავშვის გაშვილების საკითხს. ეს აუცილებლად საჯარო პროცესი უნდა იყოს და თუ მშვილებელი არ გამოჩნდა, სახელმწიფო იკისრებს ბავშვზე პასუხისმგებლობას, იგი დარჩება სამშობლოში. საზღვარგარეთ ისედაც ბევრი ადამიანი წავიდა. ძნელია მათი გამტყუნება, მაგრამ ჩვენს ხელთაა ჩვენი შვილებისა და საერთოდ ჩვენი გენოფონდის ბედი.

ეკონომიკური კრიზისი ქვეყანაში და კონტროლის დაქვეითება, ობლად დარჩენილთა გასაშვილებლად ნოყიერ ნიადაგს ქმნის. ამის გამო გაჩნდა უცხოელი მოქალაქეების ასეთი ლტოლვა ჩვენი ქვეყნისაკენ. ამასთან, ქართველები ითვლება პოტენციურად ჯანმრთელ ერად მსოფლიოში.

საჭიროა ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, იუსტიციისა და სოცუზრუნველყოფის სამინისტროებმა ყველაფერი იღონონ, რათა ეს პროცესი მართვადი გახდეს, — ხაზი გაესვა შეხვედრაზე. პრობლემის მოწესრიგებას გარკვეულად ხელს შეუწყობს იუსტიციის სამინისტროში ამჟამად დამუშავების პროცესში მყოფი დებულების პროექტი: „საქართველოს მოქალაქეობის მქონე არასრულწლოვანი ბავშვების საქართველოს მოქალაქეებსა და უცხოელ მოქალაქეთა მიერ შვილად აყვანის შესახებ".

საერთაშორისო საზოგადოება „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის" მიმართავს ხელმძღვანელ ორგანოებს, დაუყოვნებლივ გამოცხადდეს მორატორიუმი ბავშვთა უცხოეთში გაშვილებაზე.

რუსუდან დარჩიაშვილი.



თეატრი

ახალი სცენური ქმნილება

სიხარულითა და აღფრთოვანებით ვწერ ამ სტრიქონებს.

ამ მაღალფარდოვანი სიტყვების დასტურია კოტე მახარაძის მიერ ვერიკო ანჯაფარიძის სახელობის ერთი მსახიობის თეატრის პრემიერა. საჭიროა ნანახის გააზრება, იმის გაგება, თუ როგორ, რა სასწაულით არის შექმნილი ეს ლიტერატურულ-თეატრალური კომპოზიცია, სადაც მაყურებლის თვალწინ გაივლის აკაკი წერეთლის მთელი ცხოვრება.

კომპოზიციის მასშტაბები ჭეშმარიტად უზარმაზარია. ჩვენს წინაშეა უამრავი ადამიანის სახე — დაწყებული დიდი ილიათი, ეპოქის ცნობილი მოღვაწეებით, და დამთავრებული ჩვეულებრივი ადამიანებით, — იმერეთის გლეხობით და ოჯახის წევრებით.

კომპოზიციას ეწოდება — „თავო ჩემო, ბედი არ გიწერია". აკაკის ამ სიტყვებში ბევრი რამ არის ნაგულისხმევი — პოეტის ცხოვრება არ იყო მოფენილი ია-ვარდით და ეს ნათლად არის ნაჩვენები ავტორის, კოტე მახარაძის თხრობაში. მონათხრობი კი თავისი მოცულობით ძალზე ტევადია. ავტორ-შემსრულებლის მიერ იგი მოფიქრებულია, როგორც ერთი მთლიანი ქმნილება.

კოტე მახარაძე დიდხანს მუშაობდა ახალ სპექტაკლზე. რუდუნებით „აშენებდა" სცენურ ტექსტს, მაგრამ ადვილია თქმა „აშენებდაო" — ამ სიტყვის მიღმა ხომ უდიდესი შრომაა გაწეული. შრომა არა მარტო სცენურ, თეატრალურ ჩანაფიქრთან დაკავშირებული (ეს, როგორც ამბობენ, თავისთავად!), არამედ უპირველეს ყოვლისა, იმ უზარმაზარ ლიტერატურულ, პოლიტიკურ და სხვა ხასიათის მასალასთან, რომელიც სცენური ნაწარმოების საფუძველია. ავტორმა შეაგროვა, შეისწავლა და მეცნიერულად განაზოგადა ლიტერატურული, საარქივო და სხვა ხასიათის დიდძალი მასალა, მერე აკინძა იგი ისტორიული და ლოგიკური თანამიმდევრობით და ასეთივე სახით წარუდგინა მაყურებელს.

ასე რომ, კოტე მახარაძემ ჩაატარა ნამდვილი კვლევითი სამუშაოები, რაც, ჩემის აზრით, დოქტორის სამეცნიერო ხარისხსაც კი იმსახურებს, ყოველ შემთხვევაში, ამ ხარისხის ტოლფასია. სცენური ცხოვრება, სცენის კანონიერი მეცნიერული მიდგომისა და მეცნიერული დონის გარდა კიდევ ბევრ რამეს მოითხოვს. საჭიროა ეს მრავალფეროვანი და მდიდარი მასალა დაუკავშირო სცენას, თეატრალურ სამყაროს, მის ხასიათს, სცენის კანონებს, ეს კანონები კი მტკიცე და ურყევია. აქ საჭიროა წმინდა სცენური მოქმედება, თეატრალურობა, პარტნიორებთან და მაყურებელთან ურთიერთობა, სცენური მოვლენებისადმი და საკუთარი როლისადმი დამოკიდებულების გამოხატვა, დიალოგები, პაუზები, მიზანსცენები, რომ არაფერი ვთქვათ მხატვრულ გაფორმებაზე (სპექტაკლის მხატვარია ნიკუშა შენგელაია) და მუსიკალურ მხარეზე (ავტორმა ამ სპექტაკლში გამოიყენა სხვადასხვა მუსიკა, მათ შორის აკაკის ლექსებზეც. კონცერტმაისტერი — ნანა ავალიშვილი).

სპექტაკლი ორი საათი და ოცი წუთი გრძელდება, შესვენების გარეშე. დრო შეუმჩნევლად გადის. სცენაზე ერთი მსახიობი მუშაობს. მას არა აქვს არავითარი საშუალება პარტნიორებთან ურთიერთობისა, მათთან გასაუბრებისა, — აქ ეს გამორიცხულია, იგი მარტოდმარტოა სცენაზე და თვითონვე თავისი ვრცელი მონათხრობის მეშვეობით უნდა შექმნას უამრავი სცენური სახე, რომლებიც ჩნდება მხოლოდ მის წარმოსახვაში. მათი არსებობა, მათი ქმედება ხომ მხოლოდ ერთი მსახიობის სიტყვებში მჟღავნდება. რთულია წარმოაჩინო ადამიანთა ამგვარი მრავალსახეობა. მახარაძე ამას ახერხებს. ერთი მსახიობის ნებით ისინი მაყურებელთან მჭიდრო ურთიერთობაში შედიან, იქნება ეს დიდი ილიას მხატვრული სახე, იმერეთის გლეხობა თუ თვით აკაკის ცოლშვილი. ეს უკანასკნელი თემა დიდი სიფრთხილით და გულისხმიერებითაა გააზრებული კომპოზიციის ავტორის მიერ.

დღეს უკვე ყველასათვის ცნობილია ისტორია აკაკის წერილებისა ცოლ-შვილისადმი, წერილებისა, რომლებიც 1964 წელს ოფიციალურად, დიდი სასოებით და ნდობით გადასცეს მწერალ ბესარიონ ჟღენტს საფრანგეთში მცხოვრებმა ჩვენმა თანამემამულეებმა. ბ. ჟღენტმა ეს განძი სამშობლოში ჩამოიტანა და გამოსცა კიდეც წიგნი „აკაკი წერეთლის წერილები ცოლშვილთან" თავისი შესავალი წერილითურთ. ამ წიგნის ტირაჟი იმდენად მცირე იყო, რომ ფართო მკითხველამდე ვერც მიაღწია... დასანანია! ამ წერილებში ხომ ასახულია პოეტის მძიმე ხვედრი, ჩაქსოვილია დიდი დარდი და ვაება...

კომპოზიციაში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა ილიასა და აკაკის ურთიერთობას. დიდი ტაქტით წარმოაჩენს მსახიობი ამ ორი ბუმბერაზის ზოგჯერ წინააღმდეგობრივ, მაგრამ პატივისცემითა და მოწიწებით აღსავსე დამოკიდებულებას.

კოტე მახარაძემ ხალხს მშვენიერი საჩუქარი უძღვნა.

ეთერ გუგუშვილი.

კვალში მავალნი

ძნელია დიდი მამის შვილობა

ფასდაუდებელია დიდ მამაზე ღირსეული შვილის მოგონებები

დღევანდელი ნომრის სტუმარია პროფესორი მზექალა შანიძე

— **ქალბატონო მზექალა, ძნელია დიდი მამის შვილობა? როგორ აღიქვამდით მის სიდიადეს, რას გავალდებულებდათ მისი შვილობა, მუდამ ყურადღების ცენტრში მყოფს, ეს გრძნობა ხომ არ გზღუდავდათ, როგორ მოქმედებდა თქვენზე?**

— როგორ გითხრათ? ბავშვობიდანვე საგანგებო გარემოცვაში ვიზრდებოდი. ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ მეტად ახლობელი ადამიანები — ივანე ჯავახიშვილი, გიორგი ახვლედიანი, ვარლამ თოფურია, სერგი ჟიქია, ჩვენი პროფესიის ხალხი... ამ წრეში არასოდეს ყოფილა ლაპარაკი იმაზე, მამაჩემი თუ სხვა ვინმე, დიდი იყო თუ პატარა. იყო ერთმანეთის პიროვნების პატივისცემა, განურჩევლად ასაკისა და მდგომარეობისა. ამასთან, მამის მეგობრები ჩემთვის ჩვეულებრივი ადამიანები იყვნენ, რომლებთანაც შეჩვეული და შეთამამებული ვიყავი. ერთადერთი, ვისთანაც განსაკუთრებულ მორიდებას ვგრძნობდი, — ისევე როგორც ყველა ჩემს გარშემო, — დიდი ივანე ჯავახიშვილი იყო, თუმცა, იგი საოცრად სადა და უბრალო გახლდათ. გარკვეულად, ალბათ, ოჯახმა, მისმა გარემოცვამ განსაზღვრა ჩემი მომავალი პროფესია. არ დაგიმალავთ, სხვა ინტერესებიც მქონდა...

მამა ქართული ენათმეცნიერების ერთ-ერთი ფუძემდებელი რომ იყო, ჩვენს წრეში ამას ხაზს არ უსვამდნენ. კარგად რომ გამეგო, თუ ვინ იყო მამა, კარგად უნდა გავრკვეულიყავი ჩემს პროფესიაში, მისი სიდიადე მისი შრომებიდან უნდა შემეცნო. დღეს უკეთ მესმის აკაკი შანიძის „ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები", ყოველი წაკითხვისას ახალს ვიგებ. ხშირად აღმოვაჩენ: თურმე, რაღაცა არ მცოდნია, რაღაც გამომრჩენია, რაღაცისათვის ყურადღება არ მიმიქცევია... მისი შრომები მოიცავს თხუთმეტ დარგს — ძველსა და ახალ ქართულს, ქართველური ენების სტრუქტურასა და ისტორიას, ქართულ დიალექტოლოგიას, ტექსტოლოგიას, ქართულ ლექსიკოლოგიასა და ფოლკლორისტიკას, რუსთველოლოგიას, არმენისტიკას, ალბანოლოგიას... ბუნებრივია, ბავშვობისას მამის სამეცნიერო ინტერესებს ვერ ჩავწვდებოდი. უბრალოდ, სახლში ვხედავდი ბევრ წიგნს, რომელთაც, ცხადია, ვერ წავიკითხავდი. ვიცოდი, რომ ის ყვითელყდიანი წიგნი მარი ბროსეს „საქართველოს ისტორია" იყო. ვუნდერკინდი არ ვყოფილვარ, მაგრამ ერთი კი ვიცოდი — მუშაობაში მამისათვის ხელი არ უნდა შემეშალა.

— **როგორი იყო დიდი აკაკი შანიძის სადაგი დღე?**

— მამა დილის ექვს საათზე იწყებდა მუშაობას, შუა დღეს ისვენებდა, საღამოს კი ისევ მიუჯდებოდა საწერ მაგიდას. ღამით მუშაობა არ უყვარდა. ბევრს დადიოდა ფეხით და ამ დროს ისევ თავის პრობლემებზე ფიქრობდა... მახსოვს, ერთხელ ხანში შესულმა, ჟურნალისტებს განუცხადა, თავისუფალი დრო არასოდეს მქონიაო. უყვარდა ჭადრაკი და კარგადაც თამაშობდა. მინახავს მისი პაექრობა ნონა გაფრინდაშვილთან, ნანა ალექსანდრიასთან. სურათებიც აქვთ ერთად გადაღებული. მამას განსაკუთრებულად უყვარდა ბავშვები. ადვილად პოულობდა მათთან საერთო ენას.

— **რა განწყობილება გეუფლებათ ყოველ დღე უნივერსიტეტში მიმავალს მამის ძეგლის დანახვისას?**

— იცით, უფრო თავის საქმეებში, შრომებში, წიგნებში მყავს წარმოდგენილი... ისე, ბიძინა ავალიშვილმა შესანიშნავად გამოსახა მამა...

— **თუ გიწევდათ ბატონი აკაკი კონსულტაციას სამეცნიერო მუშაობაში და რამდენად მკაცრი ოპონენტი იყო იგი?**

— იქნებ, ზოგიერთმა დღეს არც დაიჯეროს: მამას არასოდეს ჩაუტარებია პირადად ჩემთვის სპეციალური მეცადინეობა. პროფესორ გიორგი წერეთლის ასპირანტი ვიყავი, აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის კურსდამთავრებული. მამა და მისი მეგობარი კოლეგები ამა თუ იმ ტექსტის გამოცემაზე მუშაობისას ხშირად საუბრობდნენ, მსჯელობდნენ. მათ საუბარს ყურს ვუგდებდი და ჩემთვის ბევრი რამ ნათელი ხდებოდა. მამა, როცა რაიმეს ვკითხავდი, მეტყოდა, წიგნში ჩაიხედეო და მისახელებდა ამა თუ იმ გამოცემას. მიყვარდა წიგნების ქექვა, ჩემთვის საინტერესო საკითხების ძიება. ახლაც ხშირად ვკითხულობ ისეთ წიგნს, რომელიც ამ წუთში არ მჭირდება, მაგრამ შემდეგში რაღაცაში გამომდგომია. საკმაოდ მკაცრად კითხულობდა მამა ჩემს უკვე გამოქვეყნებულ ნაშრომს. მკაცრადვე მოითხოვდა ფილოლოგს სცოდნოდა ენები. ამ მოთხოვნის გათვალისწინებით იღებდა ახალ თანამშრომლებსაც. მამამ ოთხი წლიდან ინგლისურის შესწავლა დამაწყებინა, ხოლო თოთხმეტი წლისას უკვე ბერძნული ენის შესწავლა მომთხოვა.

ზუსტად ვერ გეტყვით, თავის მოწაფეებს რა მეთოდით ამეცადინებდა, მაგრამ უკვე უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ასპირანტებთან მის მეცადინეობას რომ ვესწრებოდი, აღმოჩნდა: ერთი სიტყვის მისეული ახსნა შეიცავდა ფილოლოგიურ მიდგომასაც და ისტორიასაც. გულდასაწყვეტია, რომ ასპირანტებს არ ჩაუწერიათ ის მეცადინეობები.

მეც ვისმენდი მამას ლექციას, როგორც სტუდენტი. ვერ გეტყვით, რომ ყველა სტუდენტი მისი კმაყოფილი ყოფილიყო. მამა ორატორი არ ყოფილა, მაგრამ კარგი მოსაუბრე იყო. მისი ლექციები საშუალო დონის სტუდენტისათვის ძნელი აღსაქმელი ხდებოდა.

ომის პერიოდს დაემთხვა ჩემი სტუდენტობის წლები. იმ დროს ომგამოვლილებს უგამოცდოდ, საშუალო სკოლის ატესტატებით იღებდნენ და ფილოლოგიის ფაკულტეტზეც ბევრი აღმოჩნდა ისეთი ახალგაზრდა, რომელსაც საერთოდ არ აინტერესებდა ეს დარგი. ცხადია, იყვნენ გამორჩეულნიც: გივი მაჭავარიანი, თამაზ გამყრელიძე და სხვები, მაგრამ იმ დროს ფართო სტუდენტური კონტინგენტისთვის მამის ლექციები საკმაოდ მძიმე გახლდათ. მას ხშირად ლექციაზე, საუბრის პროცესში დაებადებოდა ესა თუ ის იდეა, რომელსაც გაუყვებოდა და... ძირითადი თემიდან გადაუხვევდა. მისი აზრის მდინარებას კი ვერ მიუყვებოდა მთელი აუდიტორია.

— **უხაროდა თუ არა აკაკი შანიძეს, რომ მისი საქმის გამგრძელებელი იყავით? უხერხულ გრძნობას ხომ არ გიქმნიდათ ამაზე ფიქრი?**

— მამამ არ იცოდა თავისი განწყობილების გარეგნულად გამოხატვა. ისე კი, დიდი მომთხოვნი იყო. არ მაპატიებდა პატარა ნაკლსაც კი... ძნელია დიდი მამის შვილობა... იქნებ, ჯობდა მამისავე დარგის სპეციალისტი არ ვყოფილიყავი. იქნებ, ქალი რომ არ ვყოფილიყავი, უფრო მეტი გამეკეთებინა. ყოველთვის ჩანთით დავდიოდი, დიდი დრო მიჰქონდა ოჯახს, ბაზარს, სადილს, ათას საზრუნავს...

ახლაც სიამოვნებით ვკითხულობ სამეცნიერო ლიტერატურას ბევრ სხვა დარგში. მაინტერესებს ბიოლოგია, გეოლოგია... სწორად გამიგეთ, ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე... ასეთი ბუმბერაზები ცოტანი გვყავდნენ. არ ვამბობ, ჩრდილში დავრჩი-მეთქი, მაგრამ ზოგჯერ მგონია, ჩემს საკუთარ გზას სხვა დარგში უფრო ადვილად გავიკვლევდი, მით უმეტეს, რომ საამისო ინტერესები გამაჩნდა.

ჩვენი თაობისათვის წარმოუდგენელი იყო საინფორმაციო საშუალებათა დღევანდელი მრავალფეროვნება, შესაძლებლობები, მაგრამ ჩვენი დროინდელი სკოლის ბოლო წლებსა და სტუდენტობის პერიოდში, საკმაოდ ძლიერი ინტელექტუალური გარემოს წყალობით, არა თუ ფილოლოგიასა და ისტორიაში, სხვა დარგებშიც სიახლეებს კვალდაკვალ მივყვებოდით. იმართებოდა დისპუტები, ვმონაწილეობდით განხილვებში, კამათში. ფართო იყო ჩემი თაობის ადამიანთა ინტერესები. აი, მარტო ამ უბის წიგნაკში, რომელსაც ასე ვუფრთხილდები, ჩანიშნული მაქვს ორი წლის მანძილზე, რომელ დღეს სად ვიყავი, რას ვაკეთებდით. თურმე, მარტო ერთი წლის მანძილზე ორმოცდაათ ლიტერატურულ დისპუტს, სპექტაკლსა და კონცერტს დავსწრებივართ. დღეს კი ტელეეკრანებს მიჯაჭვიან მოზარდები, ახალგაზრდები, რომელთაც ხშირად მდარე გადაცემასა და ვიდეოფილმს სთავაზობენ.

ჩვენს დროს დიდი, საინტერესო შემოქმედებითი მუშაობა ჩქეფდა, ოღონდ, მაღალფარდოვანი სიტყვების, ქება-დიდების, ხოტბის გარეშე. ამიტომ (ერთგვარად, ისევ თქვენს პირველ შეკითხვას ვუბრუნდები) დრო დამჭირდა იმისათვის, რათა გამერკვია, რომ მამაჩემი დიდი მეცნიერი იყო.

— **ქალბატონო მზექალა, ენათმეცნიერებაში ახალი მიღწევები ხომ არ აყენებს აკაკი შანიძის ზოგიერთი შეხედულების გადასინჯვის, დაზუსტების საჭიროებას? ქართული ენათმეცნიერების ფუძემდებელი, თავად როგორ იზიარებდა ენათმეცნიერების სიახლეებს, ვინ არიან დღეს აკაკი შანიძის საქმის გამგრძელებელნი, მემკვიდრენი?**

— აკაკი შანიძის მიერ ენათმეცნიერებაში შექმნილი ეტაპი სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ შემდგომში არ უნდა განვითარდეს, არ დაზუსტდეს, სრულყოფილი არ იქნას მისი რომელიმე დებულება. მხოლოდ ერთ მაგალითს მოვიტან: იმ დროს ახალგაზრდა მეცნიერმა, სპარსული ფილოლოგიის სპეციალისტმა ალექსანდრე გვახარიამ სხვაგვარად განმარტა ერთი სიტყვა „მუჭანდეზი", ვიდრე ეს ჰქონდა აკაკი შანიძეს თავის წიგნში „ეტლთა და შვიდთა მნათობთათვს". მამას ასი წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში შეტანილი ამ წერილის დასასრულს ბატონი ალექსანდრე შენიშნავს: „ეს მცირე დაკვირვება გავაცანი ბატონ აკაკის. მან ყურადღებით მომისმინა, შემდეგ კი დიდსულოვნად მირჩია დამეწერა და გამომექვეყნებინა".

წმინდა მეცნიერულ პოლემიკაში (დღეს ერთმანეთის ლანძღვის, შეურაცხყოფის, ღირსების შელახვის საშუალებად რომ იქცა), მამას პოზიცია ყოველთვის ასეთი იყო: „კარგია, რომ უკეთესი განმარტება მოიძებნა", „დაწერე, ეს უკეთესი ყოფილა"... საერთოდ, მამა პოლემიკაში მხოლოდ მაშინ ებმებოდა, როცა მას საზოგადოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა.

აკაკი შანიძის ასი წლისთავთან დაკავშირებით ამერიკაში გამოცემულ კრებულში, რომელშიც შევიდა ამ თარიღისადმი მიძღვნილ ჩიკაგოს კონფერენციაზე წაკითხული მოხსენებები, ქართველოლოგი ჰოვარდ არონსონი, რომელიც საქართველოში არც ყოფილა და მამა არც კი უნახავს, წერს: „ძალიან ცოტანი არიან მეცნიერები, და მით უმეტეს ლინგვისტები, რომელთაც ისეთი დიდი როლი ჰქონდეთ თავისი ქვეყნის ისტორიაში, როგორიც აკაკი შანიძეს". საინტერესო მასალები გამოქვეყნდა მამას 90-ე წლისთავზე პარიზში გამოცემულ საიუბილეო კრებულში „ბედი ქართლისა"... აკაკი შანიძის მიღწევებს ენათმეცნიერებაში ანგარიშს უწევენ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც...

რაც შეეხებათ მემკვიდრეებს, საქმის გამგრძელებელთ, მისი პირველი მოწაფეები იყვნენ არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია, შემდგომში — გიორგი წერეთელი, სერგი ჟიქია... ეს იმ დროს ხდებოდა, როდესაც უნივერსიტეტის დამაარსებლებს მრავალი სპეციალობით უხდებოდათ ლექციების კითხვა. ამ სფეროში დღეს მრავალი ცნობილი მეცნიერი ილვწის, რომელთაგან ზოგიერთი მამის უშუალო მოწაფეა, მაგალითად, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი პროფესორი კორნელი დანელია. მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერს თამაზ გამყრელიძეს, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ახლო მეცნიერული კონტაქტები ჰქონდა მამასთან.

— **როგორ გრძნობდა თავს აკაკი შანიძე თავის თანამედროვე ბუმბერაზ კოლეგათა გარემოცვაში? რას გვეტყოდით ბატონ ივანე ჯავახიშვილისა და ბატონ აკაკი შანიძის — ჭეშმარიტი მასწავლებლისა და ჭეშმარიტი მოწაფის საარაკო, ქრესტომათიულ მეგობრობაზე?**

— კორნელი კეკელიძე, გიორგი ახვლედიანი, სიმონ ყაუხჩიშვილი, ვარლამ თოფურია, სერგი ჟიქია, ვუკოლ ბერიძე... რომელ ერთს დაასახელებ... მათ სანიმუშო ურთიერთობა, მეგობრობა ჰქონდათ. ვარლამ თოფურიასა და გიორგი ახვლედიანთან ოჯახებით მისვლა-მოსვლა ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ. ყველაზე უფრო ახლოს ჩვენს ოჯახთან გიორგი ახვლედიანი იყო. დიდ მეცნიერს ბავშვები განსაკუთრებულად უყვარდა. მეც ძალიან ვუყვარდი, მზრუნველობდა ჩემზე. გიორგი ახვლედიანი პირდაპირი და ამავე დროს, გულუბრყვილო კაცი იყო მეცნიერებაშიც, რის გამოც, არა ერთხელ აღმოჩენილა დიდ, სერიოზულ უსიამოვნებებში...

სანიმუშოა ივანე ჯავახიშვილისა და აკაკი შანიძის მეგობრობა. მათი ურთიერთობის შესახებ არ შემონახულა ბევრი წერილობითი დოკუმენტი, რადგან ისინი, თითქმის, სულ ერთად იყვნენ. ივანე ჯავახიშვილისადმი მიწერილ აკაკი შანიძის წერილებში ამოიკითხავთ ასეთ სიტყვებს: „დიდო მოძღვარო, ბატონო ივანე", „მარად თქვენი ერთგული". მამას ივანე ჯავახიშვილისადმი, თავისი მასწავლებლისადმი, განსაკუთრებული მოწიწების გრძნობა გააჩნდა, მაგრამ ეს სრულიადაც არ უშლიდა ხელს, ამ დიდ გრძნობასთან ერთად, თავისი აზრი ჰქონოდა ამა თუ იმ მეცნიერულ პრობლემაზე. როცა გამოვიდა ივანე ჯავახიშვილის ნაშრომი „ქართული დამწერლობათა-მცოდნეობა ანუ პალეოგრაფია", რომელშიც განვითარებულია აზრი, რომ ქართული ენის საფუძველი სემიტურიაო, აკაკი შანიძე თავის მოძღვარს მოწაფის უდიდესი მოწიწებისა და მეცნიერებისადმი სრული ერთგულების პოზიციიდან წერს, ამაში ვერ დაგეთანხმებითო.

კარგად მახსოვს ჩვენს ოჯახში ივანე ჯავახიშვილის სტუმრობები და მასთან სტუმრად ჩვენი ყოფნა. თოთხმეტი წლისამ მისი სიკვდილიც ვნახე, ვნახე, როგორ წაიქცა, სიტყვა გაუწყდა ლექციაზე... თვალწინ მიდგას [illegible] ქუჩაში უამრავი ხალხი... გასვენებაზე ადამიანების [illegible] დიდი უნივერსიტეტის ეზო, ქუჩები... ახლაც ჩამესმის ყურში მამის წარმოთქმული სიტყვები... მან ძალიან მძიმედ განიცადა ივანე ჯავახიშვილის სიკვდილი...

— **საქვეყნოდ ცნობილია, რომ ბატონ აკაკის სიცოცხლის ბოლო წუთებამდე არ დაუკარგავს საღი აზროვნების უნარი. ქალბატონო მზექალა, თქვენი აზრით, რამ განაპირობა წლების მანძილზე ესოდენ დაძაბული, დატვირთული მეცნიერული მუშაობის შემდეგ მისი აზრიანი, ნაყოფიერი სიცოცხლის ხანგრძლივობა?**

— იცით, დღემდე გაოცებული ვარ მამის სასწაულებრივი მეხსიერებით. ისეთ რამეს გაიხსენებდა, მიკვირდა, ზოგჯერ შემეშინდებოდა კიდეც. როცა ლიტველ ენათმეცნიერს ძველ პრუსიულზე დაუწყო ლაპარაკი, გაოცებულ სტუმარს მამამ უპასუხა, სტუდენტობისას ხომ ვსწავლობდიო... მამას ხანდაზმულობაშიც ახსოვდა ყველაფერი ის, რაც მას აინტერესებდა, იხსენებდა ვინ, რა, სად და როდის დაბეჭდა... პირდაპირ სასწაული იყო.

— **აკაკი შანიძემ მთელი თავისი ცხოვრებითა და მოღვაწეობით ქართულ ენას ძეგლი აუგო. ქართული ენის სასწაულებრივი ენციკლოპედიის შემქმნელი, როგორ იბრძოდა ქართული ენის გადარჩენისათვის?**

— 1978 წლის 14 აპრილს მამა 91 წლის იყო. ძალიან განიცდიდა იმას, რომ საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტი აკნინებდა ქართული ენის სტატუსს. მაგრამ მამას მიაჩნდა, რომ მას, როგორც მეცნიერს, მეცნიერული მეთოდებით უნდა ებრძოლა, ბრძოლის სხვა ფორმას მართებულად არ თვლიდა. მამას სხვაგვარი ბრძოლის მწარე გამოცდილება გიმნაზიიდანვე ჰქონდა აკაკი წერეთლის იუბილესთან დაკავშირებით. მაშინ სრულიად ახალგაზრდამ, თავის გამოსვლაში, აკაკი, უწინარესად, ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლად წარმოაჩინა, რაც ძვირად დაუჯდა — გიმნაზიიდან კინაღამ გარიცხეს... მერე უკვე ხანში შესულმა, ისევ აკაკი წერეთლის იუბილეზე, როცა ჩვენს საზოგადოებაში მომძლავრებული მანკიერებანი ამხილა, მამას ოპერის თეატრის შენობაში მიკროფონი გამოურთეს...

მამას, ქართული ენის დამცველს, მრავალი უსიამოვნების გადატანა უწევდა... ქართული ენის ნორმებზე წერა, მისი წიგნი, ქართული ენის საჭირბოროტო საკითხები, მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა განა ბრძოლა არ არის მშობლიური ენის გადარჩენისათვის, მისი ზეობისათვის?

— **როგორ ფიქრობთ, დღევანდელი „დიდი მამები" ისე ზრდიან თავიანთ შვილებს, როგორც ბატონი აკაკი გზრდიდათ თქვენ?**

— ერთ ფაქტს მოვიტან: როცა ასპირანტურა დავამთავრე, ორი წელიწადი უმუშევარი აღმოვჩნდი. მამამ მითხრა, უხერხულია, აკადემიის პრეზიდენტთან ნიკო მუსხელიშვილთან როგორ მივიდე შვილისათვის სამუშაოს საშოვნელადო. უბრალო ადამიანად დარჩა. მისთვის გაუგებარი იყო შვილების განებივრების საჭიროება, სიმდიდრის ქონა, როცა შეიძლებოდა უბრალოდ ცხოვრება...

— **როგორი იყო აკაკი შანიძის დამოკიდებულება ცხოვრებისეული მოვლენებისადმი?**

— მხოლოდ ერთ ეპიზოდს გავიხსენებ: ბრეჟნევი ჩამოდიოდა თბილისში. მამას სთხოვეს, თავისი ორდენებით მისულიყო სტუმართან საზეიმო შეხვედრაზე... მამა კარგა ხანს ეძებდა უჯრაში თავის ჯილდოებს. როგორც იყო, ერთი ორდენი ამოარჩია და. მერე დიდხანს არკვევდა, რომელ მხარეს გაეკეთებინა. მამას ორდენი რომ გაეკეთებინოს, იმ მოვლენის ამსახველი ფოტოსურათის გარდა, სხვას ვერსად ნახავთ.

— **რა მდგომარეობაშია აკაკი შანიძის სამეცნიერო-ლიტერატურული მემკვიდრეობა?**

— მამას დარჩა მეტად მდიდარი არქივი, რომელიც სათანადო შესწავლას საჭიროებს. მისი შრომების უმეტესობა გამოქვეყნებულია, ოღონდ, სამწუხაროდ, ამჟამად შეჩერებულია მისი თხზულებათა თორმეტტომეულის გამოცემა. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი ტომია გამოსული. ვიმედოვნებთ, მომავალში დაისტამბება დანარჩენი ტომები.

მამამ დაასრულა ბოლო ნაშრომი — ძველ ქართულ-გერმანული ლექსიკონი. იგი სასურველად თვლიდა ლექსიკონის გერმანული ნაწილი აპრობირებული ყოფილიყო გერმანელი კოლეგების მიერ. თუ კი მომეცემა გერმანიაში ამ მიზნით წასვლის საშუალება, ამ საქმეს მოვაგვარებ.

— **თქვენ დიდი ოჯახის დიდი დედა და ბებია ბრძანდებით: გყავთ ორი შვილი, ოთხი შვილიშვილი — ნათია, დაჩი, მიხო, მარიამი, ორი შვილთაშვილი — ექვსი თვის სალომე და სამი თვის რატი... ვიცით, როგორ მეგობრობთ ექვსი წლის შვილიშვილთან — მარიამთან, რომელმაც ჯერ კიდევ ორი წლის წინათ სხვების დაუხმარებლად ისწავლა წერა-კითხვა ქართულად და რუსულად. ბევრი გვსმენია თქვენს დიასახლისობაზეც. როგორ უთავსებთ ყოველივე ამას მეცნიერულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას, ასეთი „შეთავსება" აუცილებლად მიგაჩნიათ ქალისათვის?**

— დედა თვლიდა, რომ ქალს ყველაფერი უნდა სცოდნოდა, უნდა ყოფილიყო კარგი დიასახლისი. რასაც გააკეთებდი, კარგად უნდა გაგეკეთებინა. დიდედა, ქიათურელი ჯაფარიძის ქალი, განთქმული კულინარი იყო. ბავშვებს ყველაფერი გვასწავლა. ხშირად მეკამათებოდნენ, ვთქვათ, რა საჭირო იყო ამდენი მურაბის მოხარშვა. ვერ ვატყობ, შეუმჩნეველი რომ დარჩენილიყო რომელიმე მათგანი-მეთქი, ვუპასუხებდი მათ.

ჩემს სტუდენტებს, ასპირანტებს, ყველას ვეუბნები, რომ აუცილებელია ქალს ოჯახი ჰქონდეს. ქალი უთუოდ უნდა გახდეს დედა. გული მტკივა, ამდენი დაუოჯახებელი ახალგაზრდის დანახვაზე...

— **როგორ გესახებათ ჩვენი ხვალინდელი დღე?**

— მომავალს ოპტიმისტურად ვუყურებ. მიუხედავად ჩვენი მძიმე ყოფისა, ქვეყანაში სასიკეთო ძვრების დასაწყისს ვხედავ. ამ სიკეთეს მალე შედეგიანს ვიხილავდით, ჩვენი უცოდინარობითა და უდარდელობით ხელს რომ არ ვუშლიდეთ. მე პირადად ერთი საწოლი და მაგიდაც მყოფნის, მაგრამ უდიდესი სურვილი მაქვს, ჩვენი ხალხის, შვილებისა და შვილიშვილების უკეთესობა ვნახო.

ესაუბრა
ნათელა ქიმერიძე.

თბილისის სამედიცინო პედიატრიული ინსტიტუტი

აცხადებს მიღებას 1996-97 სასწავლო წლისათვის დღის (დასწრებული) სწავლებას ქართულ და რუსულ სექტორებზე. ინსტიტუტი ამზადებს ექიმ-პედიატრებს. სწავლის ხანგრძლივობა 7 წელია. სწავლა ფასიანია.

ინსტიტუტში მიიღებიან საშუალო ან საშუალო სპეციალური განათლების მქონე პირნი. აბიტურიენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები: განცხადება რექტორის სახელზე. საშუალო განათლების მოწმობა (დედანი), სამედიცინო ცნობა (ფორმა №086), 6 ფოტოსურათი (3X4), პასპორტს, სამხედრო ბილეთს ან მიწერის მოწმობას წარმოადგენს პირადად.

საბუთების მიღება იწარმოებს ყოველ დღე (გარდა შაბათ-კვირისა) 3 ივლისიდან 31 ივლისამდე 10-დან 14 საათამდე.

მისაღები გამოცდები ჩატარდება ბიოლოგიასა და ქიმიაში.

ინსტიტუტის მისამართია:
თბილისი, ლუბლიანის ქ. №21.
ბავშვთა №2 კლინიკური საავადმყოფო.

ტელ. 51-95-35, 95-66-63, 51-99-84.
დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ მიმღებ კომისიას.

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მშენებლობის და კეთილმოწყობის დეპარტამენტი

(დამკვეთი) **აცხადებს ღია საიჯარო ვაჭრობას** (ტენდერს) ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის აღდგენა-რეკონსტრუქციის სამშენებლო სამონტაჟო სამუშაოებზე უფლების მოსაპოვებლად.

ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა სათანადო განაცხადი უნდა შემოიტანონ მშენებლობის და კეთილმოწყობის დეპარტამენტში (ჯანო ბაგრატიონის ქ. №6.

☎ ტელ. 38-46-05, მ. წლის 10 ივლისამდე.

დამატებითი ცნობებისათვის გთხოვთ მიმართოთ ზემოხსენებულ დეპარტამენტს.

საქართველოს კავშირგაბმულობისა და ფოსტის სამინისტრო

აცხადებს კონკურსს
ქ. თბილისის სატელეფონო
ქსელის მოდერნიზაცია-გაფართოებასთან
დაკავშირებით.

ქ. თბილისის სატელეფონო ქსელის მოდერნიზაცია-გაფართოების პირველი ეტაპის (30 ათასი ნომრის შეცვლა და გაფართოება) დაწყება გათვალისწინებულია მიმდინარე წელს.

დაინტერესებულ იურიდიულ და ფიზიკურ პირებს (მათ შორის უცხოელებს) საშუალება ეძლევათ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მონაწილეობა მიიღონ კონკურსში 1996 წლის 8 ივლისს დღის 12.00 სთ.

მისამართია:
380008, 9 აპრილის ქ. №2.

კონკურსში მონაწილეობისათვის განცხადების მიღება იწარმოებს
შ. პ. ს. „საქართველოს ელექტროკავშირში" იმავე მისამართზე
მ./წ 27 ივნისიდან 5 ივლისამდე.

☎ **ტელ: 99-55-99.**
ფაქსი: 001055 ან 934540 ☎

კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტრო

ინფორმაცია

მაქვს იდეა

ძალიან უყვარდათ ერთმანეთი...

მაინც რა ჯადო აქვს ჭეშმარიტ, ამაღლებულ ხელოვნებას ისეთი, რომ ქორონიკონს არაფრად დაგიდევს და ათი, ოცი, თუნდაც მეტი და მეტი წლის წინათ შექმნილ მხატვრულ ნაწარმოებს — ფერწერულ, ლიტერატურულ, კინო თუ თეატრალურ შედევრს ვერა და ვერ აძველებს, ვერ აფერმკრთალებს. ეგ კი არა და, ზოგჯერ მეჩვენება, რომ ხანგამოვლილი, დროით გამოცდილი მაღალი ხელოვნების ნიმუში მეტ ელვარებას, სიღრმეს და ფილოსოფიურ აზრს იძენს.

ავიღოთ, თუნდაც, ჩვენი შესანიშნავი ხელოვანის, დიდებული სცენარისტის რეზო გაბრიაძისა და ასევე დიდი კინორეჟისორის გიორგი დანელიას ფილმი „მიმინო". პირველად ეს კინოსაოცრება 1979 წელს ვნახე ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში. მერე და მერე ხან სად და ხან სად, სადაც წავაწყდი, სულმოუთქმელად, სიხარულით ვისრუტავდი ამ ფილმის კადრების, დიალოგის, მუსიკის, შემსრულებელთა უზადო ოსტატობასა და სიბრძნეს.

ჩემს შეგნებაში გამოიძერწა შემთხვევის წყალობით მოსკოვში დამეგობრებული ორი ტიპის, სომეხი ფრუნზიკ მკრტჩიანისა და ქართველი ვახტანგ კიკაბიძის ორპერსონიანი ქანდაკება, როგორც წარუშლელი და ნაღდი, ამაღლებული ხელოვნების ნიმუში.

...ფილმის მეასედ (ალბათ) ნახვის შემდეგ, ამ ცოტა ხნის წინათ, ამეკვიატა აზრი:

კარგი იქნება თუ ჩვენი რომელიმე ცნობილი ხელოვანი გამოაქანდაკებს ამ ორი ძმაკაცის — რუბიკასა და ვალიკოს პორტრეტს, ქანდაკება კი აღიმართებოდა, ვთქვათ, სადმე ახლოს საქართველოსა და სომხეთის საზღვართან, უფრო სწორად, ამ ორი ქრისტიანული, მეგობრული სახელმწიფოების დამაკავშირებელ პუნქტთან. დაე, ვინც მიმოდის ამ ორ უძველეს ქვეყანას შორის, ნახოს და გაიხსენოს: ქართველს და სომეხს — რუბიკასა და ვალიკოს ძალიან უყვარდათ... და უყვართ ერთმანეთი.

• ანზორ ბასილაია.

მსხვერპლი არ ყოფილა

როგორც საქინფორმის კორესპონდენტს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრში აცნობეს, 16 ივნისიდან 23 ივნისამდე ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურის მთავარი სამმართველოს მიერ რესპუბლიკაში რეგისტრირებულია 41 ხანძრის შემთხვევა, მათ შორის, 19 — საცხოვრებელ სექტორში, ხოლო 12 — სახელმწიფო ობიექტზე.

ხანძრის დროს ორმა მოქალაქემ მიიღო სხეულის დაზიანება. საბედნიეროდ, მსხვერპლი არ ყოფილა.

საქინფორმი.

აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელის უკვდავსაყოფად

ამ დღეებში ხონში დიდი ზეიმი იყო. ქუთაისის რესპუბლიკური ფსიქიატრიული საავადმყოფოს ეზოში თავი მოიყარეს ხონელებმა, მეზობელი რაიონებიდან და თბილისიდან ჩამოსულმა სტუმრებმა. ზეიმი მიეძღვნა საავადმყოფოსათვის გამოჩენილი ფსიქიატრის და საზოგადო მოღვაწის აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სახელის მიკუთვნებას.

მემორიალური დაფისა და ბ. ნანეიშვილის ბარელიეფის გახსნის შემდეგ დამსწრენი შეიკრიბნენ საზეიმო სხდომაზე.

აკადემიკოს ბიძინა ნანეიშვილის სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაზე ვრცლად ილაპარაკეს ქუთაისის რესპუბლიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა შალვა მგალობლიშვილმა, აკადემიკოსმა თამარ დეკანოსიძემ, ნევროლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა გელა ლეჟავამ, ჟურნალ „სამედიცინო მოამბის" მთავარმა რედაქტორმა ჯანგირ მამალაძემ, ხონის რაიონის გამგებლის მოადგილემ ჯემალ მეზუამ, პროფესორმა შოთა გამყრელიძემ, ქუთაისის რეგიონული კლინიკური საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა თეიმურაზ ჩეჩელაშვილმა და სხვებმა.

ღონისძიებას უძღვებოდა ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ვლადიმერ გორგაძე.

სისხლიანი ფული

ფული მარტო სავაჭრო საშუალება როდია, იგი კაცის დახასიათებასაც იძლევა

სამართალი

შარშან, აგვისტოში თბილისში კიდევ ერთი შემზარავი დანაშაული მოხდა. 20 წლის დედისერთამ, დედის ახალ ბინაში (მეორე ბინაც ჰქონდათ, სადაც ცხოვრობდნენ) განსაკუთრებული სისასტიკით ორი კაცი მოკლა. ჯერ ზურგში პისტოლეტი დაახალა ორივეს, მერე სამზარეულო დანა ერთს ორმოცდაცამეტჯერ ჩასცა, მეორეს — ოცდაცამეტჯერ. ესეც არ აკმარა: სულთმობრძავები თავიანთი ქამრებით რადიატორს მიაბა და ოთახში გამოკეტა.

იმ ღამეს დედას გაენდო. ღმერთმა იცის, აიძულა თუ შვილა სთხოვა... ორ ცეცხლს შუა იდგა მშობელი. შვილი თუ კანონი, კანონი თუ შვილი? მთელი ღამე სწონიდა დედა..., გამთენიისას შვილმა გადასწონა... და... გაჰყვა... ლითონისა და ხის საჭრელი ხერხებით მომარჯვებულმა დედა-შვილმა ნაწამები გვამები აკუწეს, სისხლის კვალი წაშალეს და მკვლელობის იარაღებიც მიმალ-მომალეს...

ბიჭმა გვამების მოკვეთილი თავები ჩვეულებრივი, გამვლელი მანქანით წმინდა ბარბარეს სასაფლაოზე წაიღო და აქა-იქ ჩამარხა. პოლიეთილენისა და ბრეზენტის ტომრებში ჩაყრილი დანაწევრებული ნაწილები კი მეგობრების დახმარებით, როგორც გაფუჭებული ჰუმანიტარული ხორცი (ასე აუხსნა დამხმარეებს) დედა-შვილმა ლოჭინის ხევში გადაყარეს. კვალის გაქრობისთვის დედას ნავთი ჰქონდა მომარჯვებული, მაგრამ... ხანძარი გაჩნდებაო, ურჩიეს, და გადაიფიქრა.

არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდება, და საიდუმლო, რომელიც არ შეიტყობა (მათე 10,26).

ამას წინათ, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ავთანდილ წულუკიანის თავმჯდომარეობით (ბრალდებას მხარს უჭერდა. პროკურორი თემურ ებრალიძე, სახალხო მსაჯულები ზურაბ მხეიძე, ხათუნა წულუკიძე), 20 წლის ირაკლი ვივის ძე კერესელიძეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — დახვრეტა მიუსაჯა. 58 წლის ელენე ლევანის ასულ ჩიკვაიძეს — ხუთი წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის საერთო რეჟიმის ქალთა კოლონიაში მოხდით. ვერ გეტყვით, როგორი დედაშვილობა ჰქონდათ მათ ერთმანეთში, მაგრამ მარტოხელა დედამ და ერთადერთმა შვილმა ცხოვრება რომ ამგვარი ტრაგედიით დაამთავრეს, ფაქტია.

იყო დედა-შვილი.

დედა — იმჟამად დიასახლისი, ყოფილი პარტიის რაიკომის ინსტრუქტორი, საგარეჯოს წვენების ქარხნის ყოფილი დირექტორი ელენე ჩიკვაიძე.

შვილი — მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელის თანაშემწე ირაკლი კერესელიძე.

თითქოს არაფერი აკლდათ. არა, როგორ არა, ქალს — ქმარი, შვილს — მამა. ოჯახის თავი კარგა ხნის წინათ გაყროდა ცოლ-შვილს. ჰქონდათ ბინა. ერთი, მეორე, ორივეს უმაღლესი განათლება, შვილს — ხელფასი, დედას — პენსია. არც ისე ბევრი, არც ისე ცოტა — როგორც ჩვენს უმრავლესობას.

ერთი სიტყვით, თუ თავს არ გადასდიოდათ, არც შიოდათ, შვილს წინ კარგი მომავალი ჰქონდა. დედას — ბედნიერი სიბერე, მაგრამ...

არ იკმარეს...

მაცდურია გაუმაძღრობის შინაგანი მექანიზმი. თუ დროზე არ დაიჩლუნგე, ძნელია დაეხსნა. ბიჭს არც უცდია ამ გრძნობის ჩახშობა, პირიქით — პოხავდა კიდევ, რადგან ხედავდა, ბევრი ასე იქცეოდა ირგვლივ... თუმცა იყო ირგვლივ პარალელური სამყაროებიც: ვიღაცა ჯილდოვდებოდა მამაცობისთვის, ვიღაც ზეიმობდა წარმატებას, ქორწინდებოდნენ შეყვარებულები, უპოვართ შეეწეოდნენ კეთილი ადამიანები, ოფლისღვრით შოულობდა ლუკმაპურს გლეხი...

და მაინც:

ვიღაც ყაჩაღობდა, ვიღაც ძარცვავდა, ვიღაც კლავდა... პარალელური სამყაროებიც ერთმანეთს კვეთდნენ და გადაკვეთის წერტილებიდან სისხლი წვეთავდა.

სიცოცხლე გძულდება. 20 წლის ბიჭი ფულის გულისთვის კლავს ადამიანს. ჯერ პისტოლეტით, მერე დანის მრავალჯერ დარტყმით... პათოლოგანატომები ამას მწვალებლობას უწოდებენ. რატომღაც მეგონა, ამგვარი სისასტიკე მხოლოდ მხეცს შეეძლო მოემოქმედა, თურმე, ჩვენდა სავალალოდ, სრულიად ახალგაზრდა კაცსაც შესძლებია...

„მხეცი, — უთქვამს დოსტოევსკის, — ვერასოდეს იქნება ისე სასტიკი, როგორც ადამიანი, ასეთი არტისტული, ასეთი მხატვრული სახით სასტიკი".

ფული და კეთილდღეობა ვის არ სჭირდება, მაგრამ... მისი მოპოვების ყველა საშუალება რომ გამართლებული არ არის? ვინ უნდა ასწავლოს შვილებს, თუ არა მშობლებმა? რჩება კი დრო მარტოხელა დედას შვილისთვის?...

მუშაობდა ირაკლი კერესელიძე მინისტრთა კაბინეტის აპარატის ხელმძღვანელის თანაშემწედ და ითავა კრედიტების გამოტანაში შუამავლობა. ჯონი სალარაძეს, დურმიშხან ძიგრაშვილსა და ციური ჯინჭარაძეს თავიანთი კომერციული ფირმა „ნიკო-93"-ისთვის 250 ათასი ამერიკული დოლარის გამოტანაში აღუთქვა დახმარება, ოღონდ წინასწარ თანამდებობის პირთათვის გადასაცემად გარკვეული თანხა მოითხოვა. 1900 დოლარი მისცეს, არ იკმარა და სამი დღის შემდეგ კიდევ 600 დოლარი გამოსძალა. თანხა არავისთვის მიუცია. თვითონ წაიღო.

ეს იყო შარშან, ივნის-ივლისში. აგვისტოში კი კერესელიძეს კრედიტის გამოტანაში დახმარება გიული (ბიჭი) ბახტაძემ და გიორგი წიწვიძემაც სთხოვეს. ფული მინერალური წყლების ჩამოსასხმელი ქარხანა „ზვარეს" ასამუშავებლად გვჭირდებაო. მათაც მოთხოვა კერესელიძემ „თანამდებობის პირთათვის გადასაცემი" თანხა, წინასწარ. სამაგიეროდ, 500 ათასი ამერიკული დოლარის გამოტანას შეჰპირდა (იმაზეც შეუთანხმდა, გამოტანილი თანხის 16 პროცენტს რომ დაიტოვებდა).

აიღო კერესელიძემ წინასწარ 4 ათასი დოლარი, რამდენიმე დღეში კი კვლავ გამოსძალა 700, ორ დღეში კიდევ 500 დოლარი.

იგი ფულს იღებდა პირდაპირ სამუშაოზე, მინისტრთა კაბინეტში. და ასე მიითვისა 5200 ამერიკული დოლარი.

შეპირებული სახელმწიფო კრედიტი კი არ ჩანდა.

აევსოთ მოთმინების ფიალა მთხოვნელთ, შეეჭვდნენ კიდეც კერესელიძის საქციელში, ყაჩაღივ უწოდეს გაჯავრებულებმა და ანგარიშის გასწორება მოსთხოვეს. შინ ვილაპარაკოთო, შესთავაზა კერესელიძემ, და მასთან საქმის გასარკვევად მისული ბახტაძე და ციური ჯინჭარაძის დისწული გურამ ოთიაშვილი დედის ახლადნაყიდ ბინაში, ვარკეთილის დასახლება—3-ში წაიყვანა. ვერ მორიგდნენ. ბახტაძე და ოთიაშვილი მისგან კატეგორიულად მოითხოვდნენ წინასწარ აღებული ფულის დაბრუნებას, საიდან? კერესელიძეს ამის შანსი აღარ გააჩნდა. და გადაწყვიტა მოეკლა ისინი... (იგი უკანონოდ ატარებდა მაკაროვის სისტემის პისტოლეტს).

თუ რა სისასტიკითა და ცინიზმით ჩაიდინა მკვლელობა, ზემოთ უკვე ვთქვი, აღარ გავიმეორებ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ იგი გაჭრილმა ხელისგულმა გასცა მაშინ, როდესაც გარდაცვლილთა ჭირისუფლებს უმტკიცებდა, ჩემგან შინ წამოვიდნენ, მეტი არაფერი ვიციო.

წინასწარ გამოძიებაში დედა-შვილმა აღიარეს დანაშაული, სასამართლოზე გადათქვეს. ხან ასე ამბობდნენ, ხან ისე. ალოგიკური და წინააღმდეგობებით იყო სავსე მათი ჩვენებები. სიმართლის დასადგენად კი საქმეში საკმაო მტკიცებულებები იდო. თუნდაც ის, რომ კერესელიძე ამტკიცებდა არავითარ ფირმა „ნიკო-93"-სა და მის წარმომადგენლებს არ ვიცნობ, რის კრედიტი, რა კრედიტიო. მის სამუშაო მაგიდაზე კი აღმოჩნდა ამ ფირმის სახელზე კრედიტის გასაცემად გამზადებული განკარგულება. ყალბიაო — იჩემებდა კერესელიძე. ყალბია თუ ნამდვილი, ამას, ალბათ, ძიება დაადგენს (უზენაესმა სასამართლომ იგი განჩინებით გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა), მაგრამ კერესელიძესთან რომ ფირმის წარმომადგენლები არაერთხელ მისულან, ამას მინისტრთა კაბინეტის საშვთა ბიუროს აღრიცხვის ჟურნალიც კარგად ასაბუთებს.

და მიესაჯათ...

უმკაცრესია კანონი, რადგან იგი მთელი საზოგადოების ინტერესებიდან გამომდინარეობს, საზოგადოებისათვის კი დედა-შვილი მომეტებულად საშიში აღმოჩნდნენ.

ფული, მარტო სავაჭრო საშუალება როდი ყოფილა, იგი კაცის დახასიათებასაც იძლევა, თურმე...

რუსუდან ლორთქიფანიძე.

სააქციო **"ჯი და ჯი"** საზოგადოება
"SAMSUNG ELECTRONICS Co.,Ltd"-ს ოფიციალური დილერი
კომპანია "VIST"-ის ოფიციალური წარმომადგენელი
სააქციო საზოგადოება "PROMET"-ის დისტრიბიუტერი

გთავაზობთ

SAMSUNG

- საოფისე ავტომატურ სატელეფონო სადგურებს ტევადობით 11-დან 120 აბონენტამდე 1200 - 20000 ლარი.
- ფაქსებს, როგორც თერმო, ასევე ჩვეულებრივ ქაღალდზე 538 - 2362 ლარი
- სხვადასხვა ტიპის ტელეფონის აპარატებს 56 - 163 ლარი

VIST

"SAMSUNG"-ის მონიტორით დაკომპლექტებულ კომპიუტერებს
- 486 DX2/66 - 1200 - 1400 ლარი,
- PENTIUM 100 - 2050 - 2500 ლარი
- PENTIUM 150 - 2300 -3000 ლარი
- NOTEBOOK TOSHIBA 2150CDT- 4900 ლარი

AIKO

- კედელში ჩასამონტაჟებელ სეიფებს 360 - 666 ლარი
- საოფისე ცეცხლგამძლე სეიფებს 774 - 1721 ლარი

საბანკო მოწყობილობებს
- დოკუმენტების გამანადგურებლებს DINO (გერმანია) - 540 ლარი
- ბანკნოტების სათვლელ მანქანებს MAGNER-35 (აშშ) - 1477 ლარი
- ვალუტის დეტექტორებს ULTRAMAG - 502 ლარი

☞ ანგარიშსწორების ფორმა ნებისმიერი
☞ მიწოდება და მონტაჟი უმოკლეს ვადებში
☞ გარანტია 6 თვე

გერმანული ქაღალდი ბითუმად - A4 80 g/cm^2 - 10 - 11 ლარი

ჩვენი მისამართია: ლესელიძის ქ. №4, ☎ 93-38-34, 93-38-04 ფაქსი: 93-38-04

ბატონ ლევან მამალაძეს

დაბადების დღეს, გუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

ნანა ბერიძე, გია, მაკა, მანუჩარ კვარაცხელიები

ვულოცავთ

არდადეგები

ბავშვებისათვის არ გვცალია?!

დაიწყო მოსწავლეთა საზაფხულო არდადეგები და, სამწუხაროდ, ისევ გვიხდება საუბარი, რომ საქართველოში ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის აღკვეთა-აცილებისათვის გამიზნული მუშაობა კვლავ ძალზე არადამაკმაყოფილებელია. ქვეითად მოსიარულე მოზარდებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებათა შეჯახების შემთხვევები არცთუ იშვიათია. როგორც სტატისტიკა გვამცნობს, ასეთ შემთხვევათა უმეტესობა ზაფხულის თვეებში, არდადეგების პერიოდში ხდება, ვითარებას უწინარესად განაპირობებს ის გარემოება, რომ მოზარდებმა არ იციან საგზაო მოძრაობის წესები.

ბავშვებისთვის ჯერ არავის სცალია.

მივიწყებული „ავტოქალაქები", ავტოდრომები, სადაც ბავშვები თამაშის ფორმით ხალისიანად ეუფლებიან ქუჩაში ქცევის წესებს, შესაძლოა უახლოეს მომავალში არც აშენდეს, მაგრამ სასკოლო დაწესებულებებში მოსწავლეთა შორის საგზაო მოძრაობის წესების სწავლების ჩაშლა მიუტევებელია ყველასათვის, ვისაც ბავშვებზე ზრუნვა ევალება.

ამ საქმეში საგზაო პოლიცია მარტო დარჩა. ამ ტვირთის ზიდვა კი არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზით მას ნამდვილად არ შეუძლია, თუმცა არც უსაქმოდ ვართ.

საგზაო პოლიციის მთავარმა სამმართველომ რეგიონებს დაუგზავნა მოსწავლეთა არდადეგების პერიოდში ბავშვთა საგზაო-სატრანსპორტო ტრავმატიზმის აღკვეთა-აცილებისათვის მუშაობის გააქტიურებასთან დაკავშირებული დირექტიული მითითება. ძირითადი ყურადღება ეთმობა კოლექტიურ მსვლელობათა დროს ბავშვთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელ ღონისძიებებს, მძღოლების მიერ მოძრაობის დადგენილი სიჩქარის რეჟიმების დაცვას, ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში დისლოკაციით გათვალისწინებული საპატრულო მარშრუტების მიახლოებას საცხოვრებელ ადგილებთან.

მკაცრადაა განსაზღვრული მოთხოვნა, რომ ბავშვების გადაყვანა დასასვენებელ ადგილამდე (და უკან) განხორციელდეს მხოლოდ ავტობუსებით.

ბავშვთა გადაყვანის უსაფრთხოებაზე პოლიციის სამსახურთან ერთად პასუხისმგებლობა ეკისრებათ სახელმწიფო და კერძო ავტოსატრანსპორტო ორგანიზაციებს, გზასა და ტრანსპორტთან დაკავშირებულ სხვა უწყებებს.

ყველა სასწავლებლის, ორგანიზაციის ხელმძღვანელები, რომლებიც მოაწყობენ ტრანსპორტით ბავშვთა ექსკურსიებს, აუცილებლად უნდა შეუთანხმდნენ ადგილობრივი საგზაო პოლიციის ხელმძღვანელობას, ამ მოთხოვნათა შესრულებას უმკაცრესი კონტროლი დაუწესდება, მაგრამ მარტო ეს რას უშველის!...

შარშან, როცა თხოვნით მივმართეთ ბანკებს, ფირმებს, გაერთიანებებს, წელმომაგრებულ ორგანიზაციებს შესაძლებლობის ფარგლებში გაეღოთ სახსრები მოზარდებისათვის „ავტოქალაქების", ავტოდრომების მშენებლობებისა და სხვა ღონისძიებათა დასაფინანსებლად, არავინ გამოგვეხმაურებია, არა გვგონია, რომ წელს ვინმე გამოიდებს თავს, მაგრამ მაინც იმედით ვართ: ღვთისნიერი ადამიანები რა დაილევა საქართველოში.

ამიტომ კვლავ ვაქვეყნებთ ჩვენი ანგარიშის ნომერს:

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს ხელშეწყობისა და განვითარების ფონდი. ანგ. № 051700303, გაერთიანებული „ქართული ბანკი", № 1 ფილიალი, ჩუღურეთის რაიონი მფო 520289.

თამაზ ლვინაძე,
საქართველოს შს სამინისტროს საგზაო პოლიციის პრესცენტრის უფროსი.

ბუნების საოცრებანი

ახალი მდინარე „მუხიანი"

შეიძლება ბევრმა თბილისელმა არც იცოდეს, რომ ჩვენს ძირძველ ქალაქში (მუხიანის დასახლება, პირველ და მეორე მიკრორაიონებს შორის მდებარე წონეშვილის გამზირი) გაჩნდა ახალი მდინარე, რომელსაც აქაურებმა მოფერებით თუ ადგილმდებარეობის მიხედვით „მუხიანი" შეარქვეს; იგი, მართალია, სიგრძით ვერ გამოირჩევა (რაღაც 700 მეტრი თუ იქნება) და არც მსოფლიოს რუკაზეა შეტანილი, მაგრამ სამაგიეროდ, წყალუხვია და წვიმიანობის ჟამს მოსახლეობას დიდ საშიშროებას უქმნის. ისიც აღსანიშნავია, რომ მდინარე სათავეს არა რომელიმე ცნობილი მთიდან, არამედ სასმელი და ფეკალური წყლების მილებიდან იღებს.

ეს, ეტყობა, იციან „წყალკანალის" მუშაკებმა, რომლებიც პერიოდულად მოდიან, თხრიან, აკეთებენ ღრმა ორმოებს და მიდიან. ორმოები დროთა განმავლობაში წყლით ივსება, ჩნდება პატარ-პატარა გამდინარე ტბები, რომლებსაც ონავრები ზაფხულობით საჭყუმპალაოდ იყენებენ. თუმცა ზოგჯერ, რაც მართალია მართალია, ღრმა გათხრებისა და მეცნიერული კვლევა-ძიების შემდეგ, იღებენ ძველ მილებს და აწყობენ ახალს, მაგრამ მოსახლეობის გასაოცრად წყალი მოკლების ნაცვლად კიდევ უფრო მატულობს.

როგორც ვიცი, დღემდე ბუნების ამ საოცრებას ზუსტი დიაგნოზი ვერავინ დაუსვა, მაგრამ მასზე განსხვავებული მოსაზრებანი რომ არსებობს, ეს ფაქტია. ერთი ჩემი მეგობარი ჟურნალისტის აზრით, თურმე ძველი (სოციალისტური) მილების დიამეტრი არ თანხვდება ახალს (კაპიტალისტურს), ხდება წყობილებრივი შეუთავსებლობა და წყალს ამიტომ ვერ წყვეტენ. არიან ისეთებიც, რომლებიც ამას დასახლებასთან ახლომდებარე „თბილისის ზღვას" ან შენობათა სარდაფებში ჩაგუბებულ წყალსაცავებს აბრალებენ, ზოგნი კიდევ რას და ზოგნი რას.

ასეა თუ ისე, მდინარე ყოველდღიურად მატულობს და მავანსა და მავანს ახალი იდეების შეთხზვის საბაბს აძლევს. ერთნი მასზე ხიდების გადებას მოითხოვენ (ამის აუცილებლობა მართლაც არის — წყალგაღმა პურის მაღაზიაა და უიმისოდ ხალხი ვერ იარსებებს), მეორენი — მდინარის ბოლოს არსებულ ჩანჩქერზე ჰესის აშენებას, რომელიც ამ ენერგეტიკული კრიზისის ჟამს დენზე მუხიანისა და გლდანის მოსახლეობის მოთხოვნილებებს მთლიანად დააკმაყოფილებს (ამ აზრს, როგორც ჩანს, გლდანის რაიონის გამგეობაც ეთანხმება).

ამ პრობლემის გადაჭრა მართლაც შეიძლება, თუ, რა თქმა უნდა, ქალაქის მერიას დაფინანსებაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ან ევრობანკი დაეხმარება.

ოთარ ხუციშვილი.

ხსოვნა

პროკლე კეკელიძე



გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მრავალი თაობის აღმზრდელი, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრის ყოფილი გამგე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე პროკლე ლევარსის ძე კეკელიძე.

პროკლე კეკელიძე დაიბადა 1905 წელს ჩოხატაურის რაიონის სოფ. იანეულში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სადაც ის ისმენდა ივ. ჯავახიშვილის, კ. კეკელიძის, შ. ნუცუბიძის, ა. შანიძის, გ. ახვლედიანის, დ. უზნაძის, მ. ზანდუკელის ლექციებს, პროკლე კეკელიძე ეზიარა მასწავლებლის რთულსა და უაღრესად საპატიო პროფესიას და მთელი თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე სიყვარულით ემსახურებოდა ამ საქმეს.

სრულიად ახალგაზრდა პ. კეკელიძე სათავეში ჩაუდგა საქართველოს მაშინდელი განათლების კომისარიატის სახელმძღვანელოებისა და სასწავლო-მეთოდურ განყოფილებას. უმძიმეს დროში, გარკვეული რისკის ფასად მისი უნარიანი ხელმძღვანელობით მოხერხდა სახელოვანი მეცნიერებისა და მამულიშვილების ჩაბმა ამ საქმიანობაში, რათა შემუშავებულიყო ყველა ტიპის სასწავლებლებისათვის სასწავლო გეგმები, პროგრამები, სახელმძღვანელოები და მეთოდური ლიტერატურა.

1939 წლიდან პროკლე კეკელიძემ მუშაობა განაგრძო თბილისის უნივერსიტეტში. აქ, 1946 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 1961 წელს სადოქტორო დისერტაციები, 1962 წელს მიენიჭა პროფესორის, ხოლო 1967 წელს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის წოდება.

1956 წლიდან პ. კეკელიძე სათავეში ჩაუდგა ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრას და მთელი 30 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა მას.

დიდი გახლდათ განსვენებულის დამსახურება საშუალო სკოლისა და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების შექმნის საქმეში.

მიუხედავად ხანდაზმულობისა, სულ ახლახან, აკაკი წერეთლის დაბადების 150 წლისთავის იუბილე ნამდვილად დაამშვენა მხცოვანი მეცნიერის კრებულმა — ტექსტოლოგიურმა გამოკვლევამ.

პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობასთან ერთად პროფ. პ. კეკელიძე აქტიურად მოღვაწეობდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. იგი დიდხანს ბრძანდებოდა უნივერსიტეტის ადგილკომის თავმჯდომარე, საზოგადოება „ცოდნის" უნივერსიტეტის ორგანიზაციის თავმჯდომარე, თბილისის ერთ-ერთი უდიდესი რაიონის ლიტერატურისა და ხელოვნების სახალხო უნივერსიტეტის რექტორი.

პროფ. პ. კეკელიძის დამსახურება პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ ასპარეზზე სათანადოდ იქნა დაფასებული იმით, რომ იგი გახლდათ ი. გოგებაშვილისა და ივ. ჯავახიშვილის მედლების კავალერი.

ამიერიდან პროფ. პროკლე კეკელიძის, როგორც აღმზრდელის, მეცნიერისა და მოღვაწის ნათელი სახე მარად დარჩება მისი კოლეგების, მოწაფეების და ახლობელთა ხსოვნაში.

თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატი; ფილოლოგიის ფაკულტეტი; ახალი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრა.

ხსოვნა

ალექსანდრე ბასილაია

საქართველოს კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჭეშმარიტი მამულიშვილი და შესანიშნავი ადამიანი, კურორტ ბიჭვინთის პანსიონატების გაერთიანების ყოფილი გენერალური დირექტორი ალექსანდრე ბასილაია.

ალექსანდრე ბასილაიამ თავისი შეგნებული ცხოვრება მშობელი ერის სიყვარულს, მშობელი კუთხის აყვავებას და მის კეთილდღეობას შეალია. ჩვენგან წავიდა ძლიერი პიროვნება, ფაქიზად რომ ატარებდა სამშობლოს, მეგობრების და ოჯახის სიყვარულს. ახლობლებმა დავკარგეთ სამაგალითო პიროვნება და მეგობარი, ოჯახმა შესანიშნავი მეუღლე და მამა, სამსახურმა ბრწყინვალე სპეციალისტი და ორგანიზატორი. ცხოვრების უკულმართობამ სამშობლოსაგან მოშორებით შეაგება სიკვდილს კარგი მამულიშვილი. ჩვენ, მისი მეგობრები კი თავს იმითი ვინუგეშებთ, რომ მის ნეშტს მშობლიური გაგრა მიიბარებს.

მსუბუქი იყოს შენთვის მშობლიური მიწა, მეგობარო. შენი ხსოვნა სამუდამოდ დარჩება შენი ახლობლების გულში.

საქართველოს კურორტების მართვის რესპუბლიკური საბჭო.

ნანა ბუზუტეიშვილი

მოულოდნელად გამოგვაკლდა სიცოცხლით სავსე, განსაცვიფრებლად ენერგიული, თავდაუზოგავად შრომისმოყვარე, ყველას ჭირ-ვარამის გამზიარებელი, მუდამჟამს გვერდში მდგომი, მოყვასი, ჩვენი ძვირფასი ნანა.

რა დასანანია, რომ ასე უდროოდ დავკარგეთ შესანიშნავი მუსიკოსი, მაღალპროფესიონალური, ხელმიწვდენით კეთილსინდისიერი ახალგაზრდა პედაგოგი, პიანისტი, რომელიც მე-4 სამუსიკო სასწავლებლის და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ წარმატებით მოღვაწეობდა თითქმის სამი ათეული წლის მანძილზე თბილისის მე-5 საშუალო სკოლასთან არსებულ ხელოვნების სტუდიაში და რესპუბლიკის სამუსიკო სკოლა-ინტერნატში.

ჭეშმარიტად, დავიწყება არ უწერია ნანა ბუზუტეიშვილს, რომელიც იყო გამორჩეული შვილი მშობლებისათვის, სათაყვანებელი და ორი ძმისათვის, ერთგული მეუღლე და თავდადებული დედა ქალ-ვაჟისა, უღალატო ყველა ახლობლის, ნათესავ-მეგობრისა.

თბილისის მე-5 საშუალო სკოლისა და სტუდიის დირექცია; პედაგოგიური კოლექტივი.

დედა ბაბილინა ვეკუა, მეუღლე ჭიჭიკო გოგუა, შვილები ზურა, ბადრი, ბუთხუზი გოგუები, რძლები ზაია დაუშვილი, დიანა, მადონა, შვილიშვილები ბაკური, ირაკლი, ნუკრი, მაია, ანა, ლაშა, თემური გოგუები, და ჟოზეფინა ჯიქია, ძმა ედიშერ ჯიქია, ახლო ნათესავები მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
სულიკო ელიზბარის ასული ჯიქია-გოგუა
პანაშვიდი 27, 28 VI, 4 ს., გამოსვენება 29 VI, ქვედა ჩხოროწყუში (ჩხოროწყუს რაიონი).

ვიტალი (ნოდარი) ვეკუა ოჯახით თანაგრძნობას უცხადებს, ზურაბ გოგუას ოჯახს დედის
სულიკო ჯიქია-გოგუას
გარდაცვალების გამო.

მეუღლე ზაირა, შვილები სტელა, ზურაბი, შვილიშვილები ივერი, დევი, და დინა, რძლები ლილი, მილა ბასილაიები, დისწულები მზია, მარინა კვანტალიანები, ძმისწულები სამურა, დინა, დათო, ტანია ბასილაიები, სიძეები გურამ ჯურხაძე, ოთარ მანია, აგული თოფურიძე, ბიძა კონო, ნიკუშა შონიები იუწყებიან რომ გარდაიცვალა
ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბასილაია
დაკრძალვა 27 VI, ქ. მოსკოვში, ფილევის ბულვარი 8, ბინა 422.

საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ამავე სამმართველოს უფროსს ლევან კენჭაძეს სიდედრის
ლიდა ვასილის ასულ ტულუშის
გარდაცვალების გამო.

შოთა ბორაშვილი ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა
ლიდია ვასილის ასული ტულუში
და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მერი, ნუგზარ გაბრიაძეები, მანანა შანიძე მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა
ოლია სარიშვილი-ბორდელაძე
და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

მორიგე რედაქტორი არმაზ სანებლიძე.

გამომცემელი შპს „პრესა" რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14. ინდექსი 66434. ტელ.: 99-73-24. მთავარი რედაქტორი გურამ გოგიაშვილი.